ჩვენს ცაზე ამოდის კომუნიზმის მზე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 248 (12162) | შაბათი, 28 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXII ყრილობის დადგენილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად 1961 წლის 27 ოქტომბერს)

მოისმინა და განიხილა რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული მოღვაწეობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

მოწონებულ იქნეს დასკვნები და წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXII ყრილობის დადგენილება

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად 1961 წლის 27 ოქტომბერს)

დამტკიცდეს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სკკპ XXII ყრილობის შესახებ

საინფორმაციო ცნობა

27 ოქტომბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა.

დილის სხდომაზე გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ა. კუჩერენკო — სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტი, ბ. პ. ბეშჩევი — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, მ. ტ. ეფრემოვი — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. მ. გრიბაჩოვი — მწერალი, ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ მთავარი რედაქტორი, ი. ტ. ნოვიკოვი — სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრი, ბ. ვ. იოგანსონი — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ა. ტ. ტვარდოვსკი — მწერალი, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი, მ. ა. ოლშანსკი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ა. ე. კორნეიჩუკი — მწერალი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებათა გამო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობის სახელზე მიღებულია მისასალმებელი წერილები ჰონდურასის, პაკისტანის, ტაილანდის კომუნისტური პარტიებისაგან, აფრიკის დამოუკიდებლობის პარტიისაგან (სენეგალი), ბირმის პროგრესული პარტიების — ბირმის მუშათა პარტიისა და ხალხის ამხანაგთა პარტიისაგან.

საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ყრილობამ მოიწონა დასკვნები და წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

ყრილობამ აირჩია კომისია, რომელიც მოამზადებს პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციის პროექტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესწორებებსა და დამატებებს.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმნენ ნორჩი პიონერები, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ს. ორჯონიკიძის დაბადების 75 წლისთავის გამო

75 წელი შესრულდა მგზნებარე რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის დაბადების დღიდან.

ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც 27 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილემ დ. მაისურაძემ.

სესიაზე მოხსენება „ს. ორჯონიკიძე — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. აღლაძემ.

მოხსენება „ს. ორჯონიკიძე — ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თბილისის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა კ. შელიამ.

სესიაზე მოგონებებით ს. ორჯონიკიძის შესახებ გამოვიდნენ პარტიის ძველი წევრები დოცენტი ვ. იმედაძე და კ. აბდურახმანოვი. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

25 ოქტომბრის საღამოს სხდომა

(დასასრული)

ვითარება მსოფლიოში, აღნიშნავს ამხ. გრომიკო, კვლავ დაძაბული და მერყეევია. საბჭოთა კავშირი დიადი მსოფლიო და ამავე დროს დიადი ევროპული სახელმწიფოა. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ბედი მჭიდროდ არის გადახლართული ევროპის სხვა ხალხთა ბედთან. სწორედ აქ, ევროპის კონტინენტის ცენტრში გაიდგა ფესვები გერმანულმა მილიტარიზმმა, რომელმაც გაიჩაღა ორივე მსოფლიო ომი. აი ამიტომ მსოფლიოს ამ რაიონის უშიშროების განმტკიცების საკითხები ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა ასე ძლიერ და მწვავედ აყენებს ამქამად საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების გზით განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ალაგმავდნენ მილიტარიზმს, რომელმაც თავი წამოჰყო დასავლეთ გერმანიაში.

ბონში მაინც და მაინც როდიღა მალავენ იმ გამანადგურებელი დამარცხებისათვის რევანშის ცდას, რომელიც მსოფლიო ომში განიცადეს. თუ დასავლეთგერმანელი რევანშისტები, ამბობს ა. ა. გრომიკო, შეეცდებიან ხელი აღმართონ საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ, იმ სასაფლაოზე, რომელიც ამ შემთხვევაში დასავლეთი გერმანია გახდებოდა, უეჭველია, მესაფლავენიც კი არ მოინახებოდნენ, რათა აეკრიფათ ომის მანქანის ნამსხვრევი და დაესამარებინათ იმათი ფერფლი, ვინც ეს მანქანა აამოქმედა.

ჩვენთვის და ჩვენი მოკავშირეებისათვის — სოციალისტური სახელმწიფოებისათვის გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება იმას ნიშნავს, რომ საზღვრები, რომლებიც ევროპაში შეიქმნა ფაშისტური გერმანიის განადგურების შედეგად, მაგრად ჩავკეტოთ და ამით აღვკვეთოთ რევანშის მომზადების პოლიტიკა, განაგრძობს ორატორი. ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადებით არავინ არაფერს არ დაკარგავს, მოიგებს კი ყველა, ხოლო თუ არ მოხერხდა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება შეთანხმებულ საფუძველზე, საბჭოთა კავშირი ბევრ სხვა ქვეყანასთან ერთად ხელს მოაწერს საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩვენი ქვეყანა, აღნიშნავს ამხ. გრომიკო, სერიოზულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ევროპის დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარებასა და განვითარებას. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორი გიგანტის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მდგომარეობას. ამ ორმა სახელმწიფომ რომ გაერთიანოს თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, ვინ გაბედავდა და ვინ შეძლებდა მის დარღვევას? ვერავინ. არ არის ასეთი ძალა მსოფლიოში.

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლებას სათავეში უდგას დემოკრატიული პარტია. პრეზიდენტი კენედი ამ პარტიის წარმომადგენელია. რუზველტიც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო. იმ პარტიისათვის, რომელიც ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუზველტის სახელთან, ალბათ, უფრო ადვილი უნდა იყოს აღადგინოს ამ დიდი ამერიკელის კარგი ტრადიციები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების საქმეში. საგარეო პოლიტიკაში ასეთი შემობრუნებისათვის ამერიკელი ხალხიც მადლობელი იქნებოდა. ამას კმაყოფილებით შეხვდებოდა ყველა ხალხი.

ერთ ამასწინანდელ საუბარში ჩვენთან, ამბობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ბატონმა რასკმა განაცხადა: ჩვენ ყველას ისე გვესმის მდგომარეობა, რომ ხრუშჩოვსა და კენედის არ სურთ შევიდნენ ისტორიაში როგორც სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თავმჯდომარეებად იყვნენ მსოფლიო კატასტროფის დროს. ამიტომ მსოფლიოს უშიშროების საკითხები თანაბრად ეხება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს.

ეს კარგი და საღი მოსაზრებაა. ამის პასუხად ჩვენ ვთქვით: რომ მოხერხებული იყო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატებისათვის მისაღებ საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის ნაშთების აღმოფხვრის საკითხისა და იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ, ყოველივე ეს დიდი წვლილი იქნებოდა მშვიდობის და ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარების საქმეში. საბჭოთა მთავრობას სურს, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და პრეზიდენტი კენედი თავმჯდომარეებად იყვნენ მსოფლიო ვითარების გარდატეხის დროს, როცა აღმოიფხვრება ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მოხდება ძირეული შემობრუნება. რასკმა განაცხადა, რომ მთლიანად იზიარებს საბჭოთა მთავრობის ამ მისწრაფებას მშვიდობისადმი, და ამერიკის მთავრობის სახელით გამოთქვა იმედი, რომ გამოინახება მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის გზები. ჩვენ ნამდვილად, თქვა მან, ვართ ორი დიდი ყველაზე ძლაგრი სახელმწიფო. ჩვენ გვყავს მოკავშირეები, მაგრამ ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ რას იზამენ ვაშინგტონი და მოსკოვი.

ეს აგრეთვე სწორი მოსაზრებაა, ხაზს უსვამს ამხ. გრომიკო, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება საგარეო პოლიტიკის დარგში ამ გზით წარიმართება.

ჩვენ გვწამს ჩვენი სოციალისტური სისტემის დაუშრეტელი შესაძლებლობანი, განაგრძობს ამხ. გრომიკო, გვწამს, რომ დავა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გადაიჭრება მშვიდობიანი შეჯიბრების, მშვიდობიანი თანაარსებობის ასპარეზზე. სწორედ ეს ხაზი, მშვიდობის ეს პოლიტიკა არის გამოხატული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში.

ჩვენ პარტიის XXII ყრილობაზე ვიღებთ კომუნიზმისა და მშვიდობის პროგრამას. ამბობს ამხ. გრომიკო, და ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი არ დაიშურებენ ძალებს, რათა მოაახლოონ ის დღე, როდესაც შესაძლებელი გახდება ვიდღესასწაულოთ ამ დიადი პროგრამის შესრულება.

ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მრავალფეროვან ნაყოფიერ საქმიანობას და კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს, აცხადებს ყრილობის ტრიბუნიდან გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ამხ. პ. ა. სატიუკოვი, ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა კავშირის მთელი 10-მილიონიანი კომუნისტური პარტია, მთელი ჩვენი დიადი გმირი ხალხი!

ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ სკკპ პროგრამას, რომელიც ახალ ეტაპს მოასწავებს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში, იწონებენ აგრეთვე მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მას მიესალმებიან სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლნი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში, ხაზს უსვამს ამხ. სატიუკოვი, მთლიანად გაიმარჯვა პარტიის XX ყრილობის ლენინურმა კურსმა, დიდი დამსახურება ჩვენი ცენტრალური კომიტეტისა ერთგული ლენინელის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, განაგრძობს იგი, ის არის, რომ ამ კურსის განხორციელებაში გამოვლინებულ იქნა დიდი პრინციპულობა, ბოლშევიკური სიმტკიცე, დიდი მამაცობა და ურყეობა. სწორედ ამის მეოხებით მხილებულ, იდეურად და ორგანიზაციულად განადგურებულ იქნა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ბულგანინის, ვოროშილოვის. პერვუხინის, საბუროვისა და მათდამი მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა შეეცვალა XX ყრილობის კურსი, აეცდინა პარტია ლენინური გზიდან, შეენარჩუნებინა და დაემკვიდრებინა პიროვნების კულტის პერიოდის ხელმძღვანელობის მანკიერი მეთოდი. ყოველი კომუნისტი დიდი სიამაყით და სულითა და გულით უჭერს მხარს ცენტრალური კომიტეტის დასკვნას, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში „ჩვენ არ შეგვილახავს პარტიის სახელი და ღირსება. მისი ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ამჟამად ჩვენი პარტია უფრო ერთიანი და მონოლითურია, ვიდრე ოდესმე!“.

ამხ. სატიუკოვი გულისწყრომით ლაპარაკობს ერთი მუჭა ფრაქციონერების მოქმედებაზე, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე გაიფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ პიროვნების კულტის მხილებას. ისინი წინააღმდეგობას ეწეოდნენ, რადგან ეშინოდათ პასუხი ეგოთ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, კომუნისტების წინააღმდეგ, ბევრი სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიებისათვის. ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეები, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, უარყოფდნენ ყველაფერს, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი სახავდა. ეს იყო იერიშები პარტიისა და მთავრობის არა მარტო ცალკეულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, არამედ მთლიანად პარტიის ნოვატორული კურსის წინააღმდეგ, მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა ყრილობის დელეგატების გამოსვლებში, ამბობს ორატორი, ანტიპარტიული ჯგუფის იდეური სულისჩამდგმელი იყო მოლოტოვი. ბოლო დრამდე იგი პრეტენზიას აცხადებდა რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაზე პარტიაში, ცდილობდა თავი წარმოედგინა ლენინური მოძღვრების თითქმის ერთადერთ განმმარტებლად. ყოველ ნაბიჯზე კვეხნით მოგვაგონებდა, რომ ლენინთან უმუშავნია.

მართლაც, მოლოტოვი მუშაობდა ლენინთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი გაზვიადებული პრეტენზიებისათვის არ იყო არავითარი საფუძველი. როგორც ცნობილია, ლენინის არც ერთ გამოსვლაში, არც მის „ანდერძში“ პარტიის მორიგი ყრილობის სახელზე მოლოტოვი საერთოდ არ არის მოხსენებული პარტიის იმ პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის. არასოდეს, არსად არაფერი არ უთქვამს ლენინს აგრეთვე „მოლოტოვის თეორიულ დამსახურებაზე, არ უთქვამს იმიტომ, რომ დამსახურება არ ყოფილა. მაგრამ აი ბიუროკრატიზმისადმი მოლოტოვის მიდრეკილებაზე ლენინს მართლაც აქვს ნათქვამი.

ნება მიბოძეთ ამასთან დაკავშირებით, ამბობს ორატორი, შევეხო ლენინის ერთ დოკუმენტს. ეს არის მოლოტოვის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელიც 1922 წელს დაუწერია ვლადიმერ ილიასძე ლენინს საქმის მდგომარეობის გამო იმ უბანზე, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოლოტოვი, როცა იგი ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო ორგანიზაციულ და კადრების საკითხებში.

აი რას წერდა ლენინი ამ წერილში, მე წაგიკითხავთ მას: „დავწერე რა რკპ წევრთა უკანასკნელი აღწერის ანკეტა თუ ფურცელი, — წერს ლენინი, — მე შემექნა მტკიცე რწმენა, რომ სტატისტიკის საქმე ცენტრალურ კომიტეტში (და, ალბათ, მთელი აღრიცხვა-განაწილების საქმე) სრულიად უვარგისად არის დაყენებული.

ან თქვენთან სტატისტიკას განაგებს ბრიყვი, ან სადღაც ამ „განყოფილებებში“ (თუ ასე ეწოდება ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ამ დაწესებულებებს) დიდმნიშვნელოვან პოსტებზე სხედან ბრიყვები და პედანტები, ხოლო ამას რომ მიხედოთ, თქვენ ალბათ, არ გცალიათ.

1. საჭიროა გაადგოთ სტატისტიკის განყოფილების გამგე.

2. საჭიროა ეს და აღრიცხვა-განაწილების განყოფილებები გამობერტყოთ **საფუძვლიანად.**

უამისოდ ჩვენ თვითონ („ვებრძვით რა ბიუროკრატიზმს“...) ჩვენს ცხვირწინ ვამრავლებთ უაღრესად სამარცხვინო და უაღრესად სულელურ ბიუროკრატიზმს.

ეკაკს ძალაუფლება ძალიან დიდი აქვს, შესაძლებლობანი გიგანტური. ვანაწილებთ 200-400 ათას პარტმუშაკს, ხოლო (მათი) მეშვეობით მრავალ ათასობით უპარტიოს.

და ეს გიგანტური კომუნისტური საქმე ჩაოხრებულია ჩლუნგი ბიუროკრატიზმით!“

ვლადიმერ ილიას-ძე აი როგორ აფასებდა მოლოტოვის საქმიანობას მისთვის მინდობილ პოსტზე ცენტრალურ კომიტეტში: გიგანტური კომუნისტური საქმე ჩაოხრებულია ჩლუნგი ბიუროკრატიზმით!

ბიუროკრატიზმისადმი მიდრეკილება, რომელიც ლენინმა შენიშნა, მოლოტოვის მთელი მოღვაწეობის გადამწყვეტი ნიშანი აღმოჩნდა. ვერ იქნა და ვერ ამაღლდა იგი ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწის დონემდე, თუმცა დიდხანს ეკავა მაღალი პოსტები.

რაც შეეხება მოლოტოვის თეორიულ პრეტენზიებს, განაგრძობს ორატორი, ყრილობაზე ბევრი ითქვა მის აბდაუბდაზე სამინაო და საგარეო პოლიტიკის დიდ საკითხებში. ეს აბდაუბდა არც თუ უწყინარია. მას აქვს გარკვეული ანტილენინური მიმართულება და დღემდე გრძელდება. XXII ყრილობის დელეგატებმა უნდა იცოდნენ, რომ ოქტომბერში, ყრილობის წახსნის წინ, მოლოტოვმა გამოგზავნა წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. ამ წერილში, სიტყვაც არ დაუძრავს რა თავის ძირგამომთხრელ, ფრაქციულ საქმიანობაზე პარტიის წინააღმდეგ, XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, იგი კვლავ ცდილობს წარმოგვიდგინოს თავი ლენინიზმის განმმარტებლის როლში, თავს ესახმის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენი ახალი პროგრამის პროექტს.

ჩვენ გულისწყრომით უკუვაგდებთ ამ თავდასხმებს ჩვენს პარტიაზე, მის ცენტრალურ კომიტეტზე, ახალი პროგრამის პროექტზე! — ამბობს ორატორი.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი პ. ა. სატიუკოვმა მიუძღვნა იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეასრულა პარტიული პრესისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

საბჭოთა ჟურნალისტები, მუშა კორესპონდენტთა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი არმია, აცხადებს დასასრულ ამხ. სატიუკოვი, სიტყვას აძლევენ დიად ლენინურ პარტიას, რომ ისინი კვლავაც იქნებიან მისი ერთგული თანაშემწენი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განმარტონ და განახორციელონ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამის — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის იდეები.

პ. ა. სატიუკოვის გამოსვლით დამთავრდა ყრილობის საღამოს სხდომა. 26 ოქტომბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს ქვეოსტატი ვ. მჭედლიშვილი აცნობს მუშებს სკკპ XXII ყრილობის მასალებს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

უკასტაკეგენ ყრილოგას

ქომუნისტური სალამი ქომუნიზმის მშენებელთა ყრილობის დელეგატებს. სიხარულით გიკაცტაკეგთ, რომ სოხუმის ხორცკომბინატის კოლექტივმა, რომელიც XXII ყრილობის შრომითს ვახტზე დგას, 15 ოქტომბრისათვის 107,5 პროცენტით გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოუშვეგის 10 თვის გეგმა. გეგმის ზევით დამზადებულია 237 ათასი მანეთის პროდუქცია.

ჩვენმა კოლექტივმა, რომელიც აღფრთოვანებულია კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პერსპექტივებით, ერთსულოვნად გადაწყვიტა იუბილეს უფრო მონდომებით და იკისრა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის გაანაღდოს, გეგმის ზევით გამოუშვას 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სახელით: **ბ. ნოდია** — კომბინატის დირექტორი. **ა. რუსია** — პარტბიუროს მდივანი, **გ. ცაცკინი** — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, **ა. ბაზაგლაზიანი** — კომკავშირული კომიტეტის მდივანი, **ლ. ხამენკო** — საძეხვე საამქროს ბრიგადირი.

ტექნიკურ გთა სასახელო საქმეები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ეცნობიან და მხურვალედ იწონებენ პარტიის XXII ყრილობის მასალებს, მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნავენ კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის მუშაობის ისტორიულ დღეებს.

ფეროშენადნობთა ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა საყრილობოდ შეასრულა ათი თვის დავალება, თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 215.000 მანეთი.

ქარხნის კოლექტივი ყოველდღიურ დავალებას 108-110 პროცენტით ასრულებს. მეორე საამქრომ უკვე შეასრულა თერთმეტი თვის დავალება, დაზოგა 350.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი № 12 ღუმელის მდნობელებმა. მათ პირნათლად შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და გამოადნეს ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი, დაზოგეს 141.965 კილოვატსაათი ელექტროენერგია. ღუმელზე მომუშავე ა. კუჭაიძის, ვ. ქათამაძის, ჭ. გელაშვილის, შ. ბოჭორიშვილის ბრიგადებს ამ დღეებში მიეკუთვნად კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელწოდება.

პირობას ანაღდებენ

თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგნის კოლმეურნეობას რაიონში პირველი ადგილი უჭირავს მეცხოველეობაში. პარტიის XXII ყრილობის მუშაობის დღეებში გოდოგნელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 2.052 კილოგრამი რძე ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.000 კილოგრამისა.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით კოლმეურნეობის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე ერთ საფურაქე ძროხაზე დამატებით მიიღონ 300 კილოგრამი რძე და წველადობა აიყვანონ 2.300 კილოგრამამდე. **ვ. კუტალაძე.**

ფიქრითა და საქმით — ჩვენს დიად პარტიასთან!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

26 ოქტომბრის დილის სხდომა

(გაგრძელება)

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობის მეცხრე დღეა.

დილის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ი. ახუნდოვი**, დაიწყო მოძძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებით.

შორეული მარტინიკის ხალხის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **კამილ სილვესტრი** — მარტინიკის კომპარტიის გენერალური მდივანი.

— როცა ეცნობი თქვენს საოცარ წარმატებებს, — განაცხადა მან, როცა ხედავ, თუ როგორ ჩაღდება ახალი საზოგადოების მშენებლობა, უფრო მწვავედ გრძნობ, რამდენად აუტანელია კოლონიური ჩაგვრა. ჩვენს ქვეყანაში — მარტინიკაში — გამეფებულია კოლონიზატორთა თავაწყვეტილი თარეში. ფრანგი კოლონიზატორები, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკელი იმპერიალისტები, მიმართავენ სასტიკ რეპრესიებს, სპობენ დემოკრატიულ თავისუფლებებს, რომლებიც ხალხმა მოიპოვა ბრძოლის შედეგად. ავტომატების ცეცხლით ათობით მშრომელი იღუპება ჩვენი ქალაქების ქუჩებში.

კოლონიზატორები ლამობენ არა მარტო თავი მოკვეთონ, არამედ მოსპონ კიდეკაც მარტინიკის კომუნისტური პარტია. მაგრამ ჩვენს პარტიას უხარი შესწევს წინ აღუდგეს ქარიშხალს. იგი იწყრიფვის შემჭნას ანტიკოლონიური ფრონტი, აღაფრთოვანებს მასებს ბრძოლისათვის. ორატორი ლაპარაკობს გაფიცვათა მძლავრ ტალღებზე, რომელმაც მოიცვა გმირული კუნძულის მშრომელები, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ქუჩის დემონსტრაციებისა და მიტინგების შესახებ.

ვიცით, ამბობს კამილ სილვესტრი, რომ ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება. უკვე დღეს მსოფლიო იმპერიალიზმის სასარგებლოდ როდია შექმნილი ქალთა დანაფარდობა. სოციალიზმის მძლავრმა ბანაკმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება. ჩვენთან ერთად არიან მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, ფრანგი ხალხი, მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია. ჩვენი ბრძოლის შთამაგონებელია ალჟირელი ხალხის გმირული ბრძოლა, კუბის რევოლუციის გამარჯვება.

საბჭოთა ამხანაგებო, ამბობს დასასრულ ორატორი, გისურვებთ ახალსა და გრანდიოზულ წარმატებებს. მაშ, რაც შეიძლება სწრაფად შეასრულეთ თქვენი პროგრამა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ თანამედროვეობის კომუნისტურ მანიფესტს!

გულითადად მიესალმა XXII ყრილობას ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **სამუელ მიკუნისი.** ისრაელის კომუნისტები, ებრაელები და არაბები, ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები, ამბობს იგი, აღტაცებითა და იმედით აღევნებენ თვალყურს სკკპ XXII ყრილობის მუშაობას, რადგან ეს ყრილობა მოასწავებს შემობრუნებას მთელი მშრომელი კაცობრიობის ისტორიაში, რადგან იგი იწყებს კომუნიზმის სხივმოსილ ერას, მარადიული მშვიდობისა და მთელი დედამიწის ხალხების მეგობრობის ერას. XXII ყრილობა, სკკპ ახალი პროგრამა, რომელსაც იგი განიხილავს, კვლავ უმაგალითო ძალით ადასტურებს, თუ რა დიდ ავანგარდულ როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

XXII ყრილობის უდიდესი მორალურ-პოლიტიკური ზეგავლენა ყველა ქვეყნის მშრომელებზე, მათ შორის ისრაელის მშრომელებზეც, აღნიშნავს ორატორი, დაეხმარება ჩვენს პარტიას გააძლიეროს ბრძოლა ისრაელის იმ მმართველი წრეების ანტიეროვნული და ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებსაც ბენ-გურიონი მეთაურობს, ბრძოლა იმ მანკიერი, უგუნური, უპერსპექტივო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ისრაელი გადააქცია ნატოს აგანტიურისტული აგრესიული და კოლონიალისტური პოლიტიკის დანამატად. ისრაელის ხალხთა მასები გულისწყრომით გმობენ იმ პოლიტიკას, რომ ბენ-გურიონის წრეები მეგობრობენ და ლაქიურად თანამშრომლობენ ჰიტლერისა და რაიხშანის ნამოსარგებთან დასავლეთ გერმანიაში, რომელთა ხელი გასვრილია ბევრი ხალხის ათეული მილიონობით ადამიანის, მათ შორის 6 მილიონი ებრაელის სისხლით. თავისი მასობრივი გამოსვლებით ისრაელის ხალხმა დაამტკიცა, რომ იგი არასოდეს არ მიემხრობა ჯერმანულ მილიტარიზმსა და რევანშიზმს.

ჩვენი პარტიის ყრილობამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, განაგრძობს ამხ. ს. მიკუნისი, წამოაყენა ისრაელის პოლიტიკაში ძირეული შემობრუნებისათვის, მშვიდობის, ნეიტრალიტეტის, ხალხთა მეგობრობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკისათვის, საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკისათვის ბრძოლის პატრიოტული პროგრამა, პროგრამა ბრძოლისა მუშათა კლასის მოქმედების ერთობისათვის, ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის შექმნისათვის, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ეს შემობრუნება ისრაელის პოლიტიკაში.

ჩვენი პარტია, განაცხადა სამუელ მიკუნისმა, იმაყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიით, დიდად აფასებს მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელსაც გადამწყვეტი წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

იორდანიის ხალხის კომუნისტური პარტია და ფართო მასები მხურვალე აღფრთოვანებით შეხვდნენ თქვენი პარტიის პროგრამის პროექტს, განაცხადა იორდანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ფუად ნასრმა.** ჩვენს პარტიას და ხალხს მასებს ეს პროგრამა თავიანთი ოცნების, მთელი კაცობრიობის ოცნების ცოცხალ განსახიერებად მიაჩნიათ. დელეგაცია იზიარებს სხვა მომძე პარტიების აზრს, რომ პროგრამის პროექტი ჩვენი საუკუნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

ჩვენი დელეგაცია, განაგრძობს იორდანიის კომუნისტების წარმომზავნილი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა წევრის დავალებით აცხადებს, **რომ** სავსებით უპირს მხარს თანმიმდევრულ ლენინურ პოზიციას, რომელიც უჭირავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ძვირფასი ამხანაგის ხრუშჩოვის მეთაურობით ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ.

ეი უკვე ბევრი წელია, ამბობს შემდეგ ფუად ნასარი, იორდანიელი ხალხი ცხოვრობს შავბნელი ტერორისტული რეჟიმის პირობებში, რეჟიმისა, რომელიც მის ინტერესებსა და სუვერენიტეტს უმორჩილებს ამერიკელ, ინგლისელ და დასავლეთგერმანელ იმპერიალისტებს. იორდანიის კომპარტია იბრძვის ომისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ერთიან ფრონტად მთელი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანებისათვის. იგი რაზმავს ხალხს და ხელმძღვანელობს მას ეროვნულ-დემოკრატიული ხელისუფლების შექმნისათვის, საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური ბანაკის ყველა სახელმწიფოსთან, ყველა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის მისაღწევად, ომისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა არაბის სოლიდარობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დაცვისათვის ბრძოლაში. ამ პოლიტიკას სავსებით უჭერენ მხარს ხალხის მასები.

ფუად ნასარმა დღეგრძელობა უსურვა იორდანიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე მეგობრობას.

მომავალში ადამიანები მოიგონებენ ამ ყრილობას, განაცხადა ახალი ზელანდიის კომპარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ჯორჯ ჯეკსონმა,** როგორც დიად მოვლენას, რომელმაც დასახა კაცობრიობის სანუკვარი ოცნების განხორციელების — კომუნისტური საზოგადოების აშენების გზა.

ახლა უკვე შეუძლებელია სოციალიზმის წარმატებები დაუშალოთ ჩვენს ხალხს, თქვა მან. ხალხმა იცის, რომ თქვენი საგმირო საქმენი კოსმოსში უდიადესი ტექნიკური მიღწევაა. ჩვენი ადამიანები გაეცნენ ზოგიერთ თქვენს მიღწევას კულტურის დარგში, დაინახეს, თუ რა დიდ კონტრასტს წარმოადგენენ ისინი ბურჟუაზიული ტელევიზიის, კინოსა და რადიოს მასობრივ მდარე პროდუქციასთან შედარებით.

დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ ვერაფერი ჩაანერეს სინათლეს, რომელსაც კომუნიზმის აშენების თქვენი პროგრამა წარმოშობს მსოფლიოს იმ ნაწილის სიბნელესა და ქაოსში, რომელიც ჯერ კიდევ კაპიტალისტურია.

მრავალი წლის წინათ ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობა ბრიტანეთის იმპერიალისტთა ჯარებს შეხვდა სიტყვებით, რომლებსაც დღეს ვიმეორებთ: „ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის!“, — შესძახა ჯორჯ ჯეკსონმა.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXII ყრილობის მუშაობაში, — განაცხადა მისასალმებელ სიტყვაში შვეიცარიის შრომის პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ედგარ ვოოგმა.** ყრილობა ეხმიანება პარტიის ახალ პროგრამას და დასახავს გზას კომუნიზმისაკენ — საზოგადოებრივი წყობილებისაკენ, რომელზეც ოცნებობენ, რომლისთვისაც იბრძოდა და სიცოცხლეს სწირავდა მილიონობით ადამიანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, მძლავრი იარაღი გახდება აგრეთვე კაპიტალიზმის პირობებში მებრძოლი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელში.

ყრილობის ტრიბუნიდან ამხ. ე. ვოოგი მიესალმა იმ პარტიებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც სათავეში უდგანან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა შეუპოვარ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ორატორმა ილაპარაკა შვეიცარიის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ აქ ანტიკომუნიზმი ბურჟუაზიისა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მთავარ პოლიტიკურ იარაღად გადაიქცა. ანტიკომუნისტური ისტერია უაღრესად დაუჯერებელ ფორმებს იღებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაკით ოისტრახს აუკრძალეს ციტრიზმი გამოსვლა. მისი კონცერტი კომუნისტურ პროპაგანდად გამოაცხადეს.

მაგრამ ანტიკომუნისტური ჩხაოილსულ უფრო ნაკლებ მოქმედებს ადამიანებზე, თქვა ამხ. ე. ვოოგმა. ჩვენ სულ უფრო ხშირად მოგვმართავენ რიგითი მოქალაქენი, მუშები, მოსამსახურენი, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები და გვთხოვენ მივაწოდოთ მათ ინფორმაცია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრების შესახებ. ვუამბოთ ჩვენს შეხვედრებებსა და პოლიტიკაზე. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, თქვა ორატორმა, იმისათვის, რომ ჩაფფუშოთ ომის გამჩაღებელთა ზრახვები და შეეიტანოთ ჩვენი წვლილი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ტრიბუნაზეა გვადელუპის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ამხ. სერგ პიერ-ეიუსტენი.** თქვენგან ყველაზე შორეული ხალხებიც კი, თქვა ორატორმა, განსაკუთრებული ინტერესითა და უურადღებით ადევნებენ თვალყურს ყოველივეს, რასაც საბჭოთა კავშირი, მისი ხალხი, მისი მთავრობა, მისი პარტია ახორციელებს, რადგანაც ის, რაც ახლა თქვენს ქვეყანაში ხდება, ჩვენი საკუთარი მომავლის ცოცხალი სურათია. კაცობრიობის პროგრესი ხომ გარდუვალად მიდის ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების გზით, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის გზით!

ჩვენ, გვადელუპის კომუნისტებს, განაგრძო ს. პიერ-ეიუსტენმა, მიგვიჩნია, რომ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მონოლითური ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბაზაზე სიმიდდო საშუალებაა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლაში გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ჩვენ ვართ და ყოველთვის ვიქნებით ფხიზელი და ურაყეი დამცველები საბჭოთა კავშირისა, რომლის ხალხი სოციალიზმს აშენებს, განაცხადა ამხ. ს. პიერ-ეიუსტენმა.

მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებს ყრილობის დელეგატები და სტუმრები მეუხარე ტაშით შეხვდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ი. ახუნდოვმა გამოაცხადა, რომ ყრილობის სახელზე მოვიდა ავრეთვე სან-მარინოს კომუნისტური პარტიის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, გვატემალის შრომის პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის მისალმებანი. დარბაზში კვლავ გაისმა ხანგრძლივი ტაში.

ჩვენ ვცხოვრობთ დიადი მეცნიერული მიღწევების საუკუნეში, დიადი მეცნიერული თეორიების საუკუნეში, თქვა ყრილობის ტრიბუნიდან აკადემიკოსმა ნ. ნ. **სემიონოვმა,** საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ. მათგან უდიადესია,— ხაზგასმით აღნიშნა მან, — მარქსისა და ლენინის თეორია. ხალხთა მიერ ამ თეორიის გამოყენება ჩვენს თვალწინ გარდაქმნის სამყაროს. უკვე კაცობრიობის ერთ მესამედზე მეტმა მოსპო მოძველებული კაპიტალისტური წყობილება და ქმნის ახალ სამართლიან საზოგადოებას მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა გზა გაუკაფა ბუნების მეცნიერებათა ძლევამოსილ წინსვლას. მეცნიერმა ილაპარაკა იმ რევოლუციაზე ბუნებისმეტყველებაში, რაც ფიზიკის დიდმა აღმოჩენებმა განაპირობეს. კომუნისტების ხელში, ხაზგასმით აღნიშნა მან, მეცნიერების ძალები უსაზღვროა. თანამედროვე მეცნიერება უმაგალითო გოლიათია, რომელიც ვერ ეტევა კაპიტალიზმის პროკრუსტეს საწოლში, სადაც სტიქია, მესაკუთრული ურთიერთობა სუფევს, რამაც ბიზნესად აქცია მეცნიერება.

სოციალიზმი და მომავალი კომუნიზმი ბორკილს ხსნის ამ გოლიათს და საშუალებას აძლევს სრულად გაშალოს თავისი მძლავრი ძალა. მეცნიერება კომუნიზმში თავის ნამდვილ სამშობლოს პოულობს, ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც თვით კომუნიზმი უდიადეს მეცნიერულ თეორიას ემყარება. იგი წარმოუდგენელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნიკის განუვითარებლად.

უმაგალითო ტემპით იზრდება და მტკიცდება ჩვენი ქვეყნის მეცნიერება. მთელ რიგ დადამწყვეტ დარგებში მან გაუსწრო კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებას. „შორს არ არის ის დღე, თქვა ნ. ნ. სემიონოვმა, როცა ჩვენი ქვეყანა ცოდნის ყველა ძირითად დარგში პირველ ადგილს დაიკავებს. მეცნიერებაში პირველობა კი კომუნიზმის გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მეცნიერმა მოიგონა ის არასახარბიელო მდგომარეობა, რომელშიც რუსული მეცნიერება იყო ცარიზმის დროს. მან ილაპარაკა საბჭოთა მეცნიერების პირველ ნაბიჯებზე, რომელსაც ლენინი აწრთობდა. მეცნიერების ორგანიზაციის, პრაქტიკასთან მისი კავშირის ლენინური პრინციპები, როგორც მეცნიერმა აღნიშნა, საფუძველად დაედო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამასწინანდელ რეორგანიზაციასა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის კომიტეტის შექმნას.

აკადემიკოსმა შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ პიროვნების კულტი თავისი დოგმატიზმითა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევებით უცხო და მტრული იყო მეცნიერთათვის. პარტიის XX ყრილობის შემდეგ ლენინური ტრადიციები ახალი ძალით აღორძინდა ჩვენს ქვეყანაში, გამოიწვია ჩვენი ხალხის ინიციატივისა და შემოქმედების დიდი მოზღვავება, განაცხადა ნ. ნ. სემიონოვმა. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გაბედულად და მტკიცედ იცავდა და იცავს ლენინის სამართლიან საქმეს და ჩვენ, მეცნიერები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, უსაზღვროდ მადლობელი ვართ ამისათვის.

მეცნიერება სულ უფრო ხდება ადამიანთა დიდი მასების ფიქრთა მეუფე, ჩვენი დროის რომანტიკა, სულიერი სახარეულისა და შემოქმედებითი ომაფრენის წყარო. ორატორმა ილაპარაკა ახალ სამყაროთა შესახებ, რომლებიც ისახება ადამიანებისათვის მეცნიერების მეოხებით. ეს არის კოსმოსის უსაზღვროდ დიდი სივრცეები, ატომის უსასრულოდ მცირე სამყაროები, ანტიხვითიერების პრობლემები; სამყარო ახალი ატომმოლეკულის არქიტექტურისა, სპეციალური კრისტალური სტრუქტურებისა, რომლებიც ახალ უმაგალითო პერსპექტივებს სახავენ ელექტრონიკისა და რადიოტექნიკის დარგში; პოლიმერები, რომლებიც ახალი სრულყოფილი მასალებისა და პრინციპულად ახალი მანქანების შექმნის საშუალებაა; დედამიწის სფეროს უკეკლეი სიღრმეების სამყაროო, სადაც ჩვენ მალე შევიჭრებით, და სადაც სითბური ენერგიისა და სასარგებლო მინერალების აუოაცხელი მარაგია; მათემატიკური ლოგიკის სამყარო, რომელიც ელექტრონიკასთან ერთად საშუალებაა მმართველ მოწყობილობათა, საანგარიშო, საინფორმაციო და სხვა მანქანების შექმნისა, რომლებიც ბევრად განავითარებენ ადამიანის შემოქმედებითს შესაძლებლობებს.

ორატორმა შემდეგ აღნიშნა, რომ კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის კვალობაზე, სამუშაო დღის შემოკლებით სულ უფრო მეტი ადამიანი გატაცებით დაეწყოფება დასვენების საათებში მეცნიერულ და ტექნიკურ შემოქმედებას. ამასთან დაკავშირებით ნ. ნ. სემიონოვმა წინადადება წამოაყენა შეიტანონ მთელი რიგი დამატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში.

გზა გავუხსნათ ხალხთა მასებს მეცნიერული შემოქმედებისათვის — ეს კომუნიზმის ერთ-ერთი უდიადესი ამოცანაა. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი შეეხო საბჭოთა კავშირის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას, რომლის რიგებში 1 მილიონ 200 ათასი კაცია. მან განაცხადა, რომ საზოგადოების ძირითადი რგოლი ახლა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შექმნილი ჯგუფებია. საზოგადოების შემადგენლობაშია 75 ათასი ასეთი ჯგუფი. აქედან ორი მესამედი სოფლად. თუ 1956 წელს საზოგადოების ძალებით წაკითხული იყო 2 მილიონ ლექციი, 1960 წელს წაკითხულია 10 მილიონი.

ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 62 სამეცნიერო-საკვლევითი, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, რომლებშიც გაერთიანებულია 5 მილიონზე მეტი კაცი. მეცნიერს მიზანშეწონილად მიაჩნია გააერთიანონ ყველა ამ ორგანიზაციის საქმიანობა საზოგადოებათა ფედერაციად ან კავშირად.

ნ. ნ. სემიონოვმა აღუთქვა კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საზოგადოების წევრთა მილიონიანი არმია მთელ თავის ძალებს მოახმარს კომუნიზმის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებებს მიუძღვნა თავისი სიტყვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ო. ვ. კუუსინენმა.** მან განაცხადა, **რომ** ეს პროგრამა მთელი საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული სიამაყე და დიდი სიხარულია. ჯერ კიდევ 30-ან წლებში ორჯერ შეეცადნენ შეემუშავებინათ ახალი პროგრამის პროექტი. მაგრამ ეს სეროიზული ცდები არ ყოფილა და ისეთი უბადრუკი შედეგი მოიტანა, რომ სტალინმა საჭიროდაც არ მიიჩნია გაეცნო დწეული პროექტი პოლიტბიუროს წევრებისათვის, მაშინ არ იყო საჭირო წანამძღვრები კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის შესაქმნელად.

ჯერ ერთი, საჭირო გახდა პოლიტიკის ის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი შემობრუნება, რომელიც პარტიამ მოახდინა სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის, უამირი მიწების ათვისებისა და პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის დროიდან. ეს ახალი პოლიტიკური კურსი განამტკიცა პარტიის XX ყრილობამ და შემდგომ განავითარა XXI ყრილობამ, რომელიც მოასწავებდა ჩვენი ქვეყნის შესვლას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

მეორეც, საჭირო გახდა, რომ ამ პროგრამის შეუშავებისათვის ეხელმძღვანელა ისეთ მარქსისტ-ლენინელს, რომელშიც შეერთებულია შემოქმედებითი გაბედულება და მორსმჭვრეტელობა. მგზნებარე მისწრაფება წარმოების სრულყოფისა და ცხოვრების ყველა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი, რომელიც გამოირჩევა დიდი პრინციპულობით, იმ უნარით, რომ არც ერთი წუთით არ გამორჩეს მხედველობიდან ისტორიული წინსვლის საბოლოო მიზანი და ამასთან არასოდეს არ სწყდება რეალურ ნიადაგს, რომელიც იცნობს მშრომელთა ცხოვრებას, როგორც საკუთარს, სჯერა ხალხისა და გულისხმიერად კამხატავს მის ფიქრებსა და იმედებს.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, აღნიშნა ამხ. კუუსინენმა, ცხადი გახდება, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ ახალი პროგრამის პროექტის შემუშავებისათვის უშუალოდ ეხელმძღვანელა ლენინური ტიპის ისეთ მოღვაწეს, როგორიც ამხანაგი ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვია.

ორატორი დაწვრილებით ახასიათებს ახალი პროგრამის იდეურ სიმდიდრეს და აღნიშნავს მის მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებით ძვირფას წვლილს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომ განვითარებაში. თუ მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს, სოციალიზმის მშენებლობის საბჭოთა გამოცდილებამ მარქსიზმის მეცნიერული თეორია რეალურ სინამდვილად აქცია. მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა არის ცოცხალი სოციალისტური საზოგადოება. ახლა ჩვენი ახალი პროგრამიდან მსოფლიო პირველად დაინახავს. თუ რას წარმოადგენს და როგორ აშენდება კომუნისტური საზოგადოება.

პროგრამაში წამოყენებულია ახალი დებულებები იმის შესახებ, **რომ** ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიზრდება ყაერთო-სახალხო სახელმწიფოდ, იმის შესახებ, თუ როგორია კომუნისტურ თვითმმართველობაზე გადასვლის პერსპექტივები. მოავალ წელს კომუნისტმა მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, სპეკულაციას ეწეოდნენ თემით იმის შესახებ, თითქოს მარქსისტები აპირებდნენ შეინარჩუნონ პროლეტარიატის დიქტატურა კომუნიზმის გამარჯვებამდე და ამ გამარჯვების შემდეგაც. ახლა ამგვარ სპეკულაციებს ბოლო ეღება. ჩვენს ახალ პროგრამაში ნაჩვენებია პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული შეპირობებულობა, რომელიც საჭიროა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდისათვის. რაც შეეხება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდს, მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს გადაქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, დამახასიათებელია სოციალისტური დემოკრატიის ფართო განვითარება.

სრული მოწონებით შეხვდნენ მოძმე მარქსისტულ-ლენინურ პარტიებში ახალი პროგრამის დებულებებს სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის გზების მრავალფეროვნების შესახებ, კომუნიზმში სოციალისტური ქვეყნების ცოტად თუ ბევრად ერთსა და იმავე დროს შესვლის შესახებ. თანამედროვე ეპოქის ხასიათისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი ეტაპის თავისებურებათა შესახებ, აზიისა და აფრიკის განთავისუფლებული ქვეყნების განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესაძლებლობის შესახებ.

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა, რომელიც დღეს მნიშვნელოვანწილად გამოდის როგორც მილიტარიზებული კაპიტალიზმი, მკვეთრად გაამწვავა იმპერიალიზმის ყველა ძირითადი აგრესიული ტენდენცია. უფრო მტაცებელი, ვიდრე ოდესმე წინათ, იმპერიალიზმი საფრთხეს უქმნის ხალხთა უშიშროებასა და მშვიდობას დედამიწაზე.

ამასთან დაკავშირებით ორატორი ლაპარაკობს ომის საფრთხის მთავარ წყაროზე — ამერიკის იმპერიალიზმზე. სწორედ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში ამერიკის შეერთებულ შტატებში მომწიფდა პრეტენზია „მსოფლიოს ხელმძღვანელობისა“, ან, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მსოფლიო ბატონობისა. რა თქმა უნდა, ამერიკის „დიდი ბიზნესის“ მესვეურები, რომლებიც მიჩვეულნი არიან იმოქმედონ კულისებიდან, არ აქვეყნებენ კაპიტალისტურ სამყაროში გავლენის სფეროების ხელში ჩაგდების თავიანთ კონკრეტულ გეგმებს. ისინი ამჯობინებენ იმოქმედონ „ანტიკომუნიზმის“ ალმით. მაგრამ განა შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „ანტიკომუნიზმის“ შავი დროშა აღმართულია ერთადერთი მიზნით — მოაწყოს ლაშქრობა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ? არა. ამერიკელ იმპერიალისტებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ომი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ უაღრესად სარისკო საქმეა. მათთვის. ამავე დროს მათ არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ რომ „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ხმაურში მათთვის უფრო ადვილია ფეხი მოიკიდონ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. კოლონიურ და დამოუკიდებელ ქვეყნებში „ანტიკომუნიზმის“ დროშას იყენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, კოლონიური ჩაგვრის შენარჩუნებისათვის საბრძოლველად. აზიისა და აფრიკის განთავისუფლებულ ქვეყნებში „ანტიკომუნიზმი“ მათი ეროვნული დამოუკიდებლობის ძირის გამოთხრისა და, თუ შესაძლოა, ამერიკის იმპერიალისტების მიერ შექმნილ სამხედრო ბლოკებში ამ ქვეყნების ჩაბმის იარაღია. ბოლოს, ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ „ანტიკომუნიზმის“-ალმით განიტკიცონ პოზიციები მათს ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიური ექსპანსიის მკაფიო მაგალითად ორატორი ასახელებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელთა მმართველმა წრეებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დადეს ამერიკის იმპერიალიზმთან. ასეთი კავშირის ორგანიზაციული ფორმა გახდა, როგორც ცნობილია, ნატო. ეს არის იმპერიალისტთა თავისებური სამხედრო-პოლიტიკური ტრესტი, სადაც კონტროლი მტკიცედ უპყრიათ ხელში შეერთებულ შტატებს. ეს ბლოკი ამერიკის იმპერიალისტმა ავრესიული პოლიტიკის ყველაზე კონცენტრირებული განსახიერებაა. ეს არის მისი იარაღი, პეტაგონის იარაღი. და ეს არის ომის პროვოკატორთა გეელის ბუდე.

სახავენ რა თავიანთ აგრესიულ ბლოკს როგორც „თავდაცვითს კავშირს“, ნატოს მეთაურები ემზადებიან პასუხისმგებლობა ომის დაწყებისათვის დაკისრონ საბჭოთა კავშირს. ადნიშნავს ორატორი. იგი ამბობს, რომ ნატოს აქვს ეგრეთწოდებული „ფსიქოლოგიური ომის“ გეგმა. მასში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისას საჭიროა უეჩნარეს ყოლისა დაკარწუნთო ხალხები, რომ დასავლეთის ქვეყნები საბჭოთა თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. წარმოიდგინეთ, რა თავხედობაა! — აცხადებს ო. ვ. კუუსინენი. განა ეს „ნატოს დიდი სიცოცხლე“ შეთითხნილი არ არის ჰიტლერის ცნობილი რეცეპტით, რომელიც ქადაგებდა, რომ რაც უფრო დიდია სიცრუე, მით უფრო ადვილია დააჯერო მასში ადამიანები. მაგრამ ასეთი ბაზარელი სიცრუით უფრო ის შეიძლება, რომ ჩაიფუშოს და დასავლეთ ევროპის ხალხთა თვალში მხილებულ იქნას ნატოს „ფსიქოლოგიური“ ინტერიგები. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საღადმოზრდილ ადამიანები სულ უფრო ხშირად აფასებენ თავიანთ მთავრობათა პოლიტიკას, როგორც ეროვნული ინტერესების ღალატის პოლიტიკას. მხოლოდ ეროვნული ღალატი შეიძლება ეწოდოს იმასაც, **რომ** დასავლეთ ევროპის მთელი რიგი მთავრობები გამალებით აიარაღებენ **დასავლეთ** გერმანიას, თუმცა იგი არც კი მალავს თავის რევანშის გეგმებს. ამერიკელი იმპერიალისტები ბუნდესვერის ჯარებს დასავლეთ ევროპაში დამკვრელი მუშტის როლს აკუთვნებენ.

იმპერიალისტი აგრესორებისაგან მშვიდობის დაცვაში საჭიროა მაქსიმალური სიფხიზლე და სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, ხაზგასმით აღნიშ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

(დასასრული)

ანტიპარტიული ჯგუფი და პირველ რიგში მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და ვოროშილოვი წინააღმდეგი იყვნენ, რომ მომხდარიყო გადამწყვეტი მობრუნება ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების აღდგენისაკენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ თუ დადგებოდნენ სოციალისტური კანონიერების აღდგენის გზაზე, ისინი გაიღაშქრებდნენ საკუთარი თავის წინააღმდეგ, ამით ხელს შეუწყობდნენ საკუთარი დანაშაულებრივი მოქმედების მხილებას ხალხის წინაშე.

არსებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტები უცილობლად ამტკიცებენ, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს ბრალი მიეძღვით უკანონო მასობრივ რეპრესიებში ბევრი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამხედრო მუშაკის წინააღმდეგ, და პიროდაპირი პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი ფიზიკური მოსპობისათვის.

ა. ნ. შელეპინმა აღნიშნავს, რომ ს. მ. კიროვის მოკვლა სტალინმა და მასთან დაახლოებულმა მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა გამოიყენეს სბპ-ბად, რათა ანგარიშნი გაესწორებინათ მათთვის არასასურველი ადამიანებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეებისათვის. იმ პერიოდში გაჩნდა მთელი რიგი სასამართლოსგარეშე ორგანოებიც. დადგენილია, რომ წინადადება მათი ორგანიზაციის შესახებ შეიმუშავა პიროდად კაგანოვიჩმა. არქივში შენონახულია პროექტი ამ დოკუმენტისა, რომელიც დაწერილია მისი ხელით.

1937 წლის ნოემბერში სტალინმა, მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა სანქცია მისცეს, რომ სამხედრო კოლეგიის სამართალში მიეცათ ამხანაგების დიდი ჯგუფი თვალსაჩინო პარტიულ, სახელმწიფო და სამხედრო მუშაკთა რიცხვიდან. (მათი ხელმოწერა დარჩენილია ამ დოკუმენტზე). უდანაშაულოდ დახვრეტილთა და სასჯელის შემდეგ რეაბილიტირებულთა შორის არიან ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორც ამხანაგები პოსტიშევი, კოსიორი, ეიხე, რუძუტაკი, ჩუბარი, კრილენკო, უნშლიხტი, ბუბნოვი.

მოლოტოვმა სანქცია მისცა დაეპატიმრებინათ პარტიის ურალის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კაბაკოვი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ფუნნოვი, შორეული აღმოსავლეთის სამხედრო აღმასკომის თავმჯდომარე კრუტოვი და ბევრი სხვა. დოკუმენტალურად დადგენილია, რომ კაგანოვიჩი სხვადასხვა საქმეზე სასამართლო სხდომების დამთავრებამდე პირადად უკეთებდა რედაქციას განაჩენების პროექტებს და თვითნებურად შეჰქონდა მათში თავისთვის სასურველი ცვლილებები. მალენკოვის სინდისზეა ეგრეთწოდებული „ლენინგრადის საქმე“, სომხეთში პარტიული და საბჭოთა მუშაკების დაპატიმრებანი.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ 1957 წლის ივნისის დღეებში, როცა ფრაქციონერები აშკარა იერიშზე გადავიდნენ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ბულგანინმა კრემლში დაიყენა თავისი დაცვა, მოაწყო დამატებითი საგუშაგოები, რომლებიც არავის არ უშვებდნენ მისი მითითების მიუღებლად მთავრობის შენობაში, სადაც მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. შეთქმულნი, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, მზად იყვნენ მიეღოთ უკიდურესი ზომები თავიანთი ბინძური მიზნების მისაღწევად.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო ყრილობაზე, განაგრძობს ამხ. შელეპინი, რომ ანტიპარტიული ჯგუფის ზოგიერთ წევრს, და უწინარეს ყოვლისა მოლოტოვს დღემდე არ გაუკეთებია ჯეროვანი დასკვნები მკაცრი გაკვეთილიდან, ისინი არსებრივად იქცევიან, ორნარობენ პარტიის წინაშე, ძველ პოზიციებზე დგანან. აი ამიტომ დადგა დრო, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა განიხილოს საკითხი ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეების უსასტიკეს პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ჩვენს ყრილობაზე ანტიპარტიული ჯგუფის ერთსულოვანმა დაგმობამ, განაგრძობს ორატორი, გამოიწვია ანტისაბჭოთა ფუსფუსი დასავლეთში. ცდილობენ რა შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი, ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მთავარს, გადამწყვეტს და ძირითადს ჩვენი ყრილობის მუშაობაში — ჩვენი პარტიის დიდებულ პროგრამას, — ბურჟუაზიული კაბინეტი ახლა წერენ ვითომდა „ფარული შინაგანი საფრთხის“ და „შინაგანი სიძნელეების“ შესახებ, „წითლების მონოლითურ სტრუქტურაში ბზარის შესახებ“, რაღაც „ოპოზიციური ჯგუფის შესახებ ხელმძღვანელობის ახლახელ შემადგენლობაში“, იმის შესახებ, რომ „ანტიპარტიული ჯგუფის ახალი დაგმობის მიზანია გააფრთხილოს ზედმეტად თავზეხელაღებული ადამიანები“ და სხვ. და სხვ.

ყველა ჯურისა და ელფერის ბურჟუაზიულ კომენტატორებსა და იმ წრეებს, რომელთა წარმომადგენლები ისინი არიან, ძალიან სურთ სინამდვილედ გასაღონ ის, რაც თვითონ სურთ. აი ამაზე იტყვიან, მშიერ მელიას სულ ქათმები ესაზმრებოდა! მაგრამ ჩვენ იმედი უნდა გავიცაროთ ბურჟუაზიულ პროპაგანდისტებს.

ჩვენს ყრილობაზე ანტიპარტიული ჯგუფების შესახებ იმიტომ კი არ ვლაპარაკობთ, რომ იგი ახლა რაღაც საფრთხეს წარმოადგენდეს პარტიისთვის. არა! ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი პოლიტიკური ლეშები არიან, რომლებიც არათუ რაიმე საფრთხეს, არამედ ახლა საფრთხის ნატამალსაც კი არ წარმოადგენენ! ჩვენ ამ ფრაქციონერებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ერთხელ კიდევ გავაშიშვლოთ მათი ნამდვილი სახე, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ მათ უბადრუკობას იმ სიღიადის წინაშე, რაც პარტიამ და ხალხმა გაანახორციელეს XX ყრილობის შემდეგ, იმ ჭეშმარიტად წარმტაცი პორიზონტების წინაშე, რომლებსაც ჩვენ გვიასახავს სკკპ ახალი დიდებული პროგრამა!

ყრილობაზე ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობის შესახებ დიდი ლაპარაკი ახალი ძალით ცხადყოფს კომუნისტური პარტიის მოწინფეულობას, განამტკიცებს საბჭოთა ადამიანების რწმენას, რომ მძიმე ბორბოტმქმედებანი, რომლებიც პიროვნების კულტის პერიოდში ხდებოდა, არასოდეს, არასოდეს არ გამეორდება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს პარტიაში!

ჩვენი პარტიის აქტივი, კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახლა აშკარად და გაბედულად ლაპარაკობენ იმის, რასაც ფიქრობენ, უშიშრად ამხილებენ მუშაობის ნაკლოვანებებს, ცხადყოფენ ნამდვილ ზრუნვას პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის.

ამხ. შელეპინი ყრილობას მოახსენებს, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მოლიანად ლიკვიდირებულია მუშაობის დამახინჯებანი და სოციალისტური კანონიერების დარღვევები. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების მთელი საქმიანობა ახლა მიმდინარეობს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი კონტროლით, აგებულია სრულ ნდობაზე საბჭოთა ადამიანისადმი, მისი უფლებებისა და ღირსებების პატივისცემაზე. პარტიამ აღადგინა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის ნამდვილად ლენინური სტილი და მეთოდები, ხაზგასმით აღნიშნავს ა. ნ. შელეპინი. ჩეკისტები ეყრდნობიან ხალხს, მჭიდროდ არიან დაკავშირებული მშრომელებთან, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობასთან. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები საფრთხილეა კი არ არის, როგორც ცდილობდნენ დაესახათ ახლო წარსულში მტრებს — ბერიასა და მის ხელქვეითებს, არამედ ჩვენი პარტიის ნამდვილად სახალხო პოლიტიკური ორგანოებია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ორგანოების საქმიანობაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ღირსეული, მათი შესაფერი ადგილი დაიკავეს მთელ ჩვენს მუშაობაში. ახლა ჩეკისტებს შეუძლიათ სუფთა სინდისით შეხედონ თვალში პარტიას, საბჭოთა ხალხს.

ამხ. შელეპინმა თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო დიდ ნაკლოვანებებს, რომლებიც ახასიათებს ხამართლის მეცნიერებაში. ორატორმა მოიყვანა ამის მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები და აღნიშნა, რომ ეს ნაკლოვანებები შემთხვევითი როდია. საქმე ის არის, რომ იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა ვიშინსკის თავისებური პიროვნების კულტი. ამავე დროს სამართალი ვიშინსკის განმარტებით ამოიწურებოდა მხოლოდ იძულების ღონისძიებებით და სრულიად უაზდებული იყო მისი აღმზრდელობითი როლი, ხოლო ვიშინსკის მიერ შემუშავებული „თეორია“ ბრალდებულის აღიარების შესახებ, როგორც სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებზე მთავარი დამამტკიცებელი საბუთის შესახებ, არსებითად ამართლებდა მასობრივი თვითნებობის ფაქტებს, რომლებიც ოდესღაც იყო სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაში.

შემდეგ ამხ. შელეპინს წინადადება შეაქვს, რომ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნას სასჯელის ზომები ბიუროკრატიზმის გამოვლინებისათვის, განსაკუთრებით მკაცრად უნდა მივუდგეთ ხულიგნების, ქურდების, მუქთახორების, მეძრთამეებისა და ცილისმწამებლების მოქმედებას.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. ნ. შელეპინმა საბჭოთა ჩეკისტების სახელით გულითადი მადლობა უძღვნა კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით სახელმწიფო უშიშროების ორგანოებზე ყოველდღიური ზრუნვისათვის და პირობა მისცა ყრილობას, პარტიას, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები, სასაზღვრო ჯარების მეთაურები, აღფრთოვანებულნი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, უკეთ იმუშავებენ, დაუცხრომლად აიმაღლებენ სიფხიზლეს, განუხრელად შეასრულებენ ლენინის ანდერძს, მთელ ძალღონეს მოახმარენ ხალხის სამსახურს, პარტიის საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

შესანიშნავი შედეგები, რომლებითაც კომუნისტური პარტია მოვიდა თავის XXII ყრილობაზე, განაცხადა სკკპ ცენტრალურადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. მ. **შკოლნიკოვმა,** მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების, მისი რიგების მონოლითური შეკავშირებისა და ხალხთან ურღვევი კავშირის შედეგია. როცა ვლაპარაკობთ სკკპ XX ყრილობის შემდეგ განვლილი გზის შედეგებზე, ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი პარტიის ლენინური კურსის სიმართლეს, მის დიდებულ და საუცხოო შედეგებს.

საზარელია იმაზე ფიქრი, თუ რა დამღუპველ გზაზე გვაყენებდნენ ფრაქციონერები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ვოროშილოვი და მათი თანამზრახველები. ანტიპარტიულ ჯგუფს ხელთ რომ ეგდო პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, ჩვენს პარტიაში კვლავ აღორძინდებოდა პიროვნების კულტის პერიოდის ხელმძღვანელობის მეთოდები მთელი თავისი მძიმე შედეგებით.

სკკპ პროგრამის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში, ამბობს ორატორი, სტალინგრადელებმა მხურვალედ მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა და გამოთქვეს მტკიცე მისწრაფება — მთელი ძალღონე მოახმარონ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ამხ. შკოლნიკოვი ლაპარაკობს ოლქის მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა ომის პერიოდში მთლიანად იყო დანგრეული, საერთო პროდუქციის მოცულობამ თითქმის ექვსჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს და სტალინგრადის ოლქი ახლა რუსეთის ფედერაციის დიდი ინდუსტრიული რაიონი გახდა. განვლილ ორნახევარ წელიწადში საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 62 პროცენტით, ხოლო სამრეწველო წარმოების მატება წელს 19 პროცენტს შეადგენს.

ახორციელებენ რა ლენინის ანდერძს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ, სტალინგრადელმა ჰიდროშენებლებმა ვიმიშლი თავისებური პიროვნების კულტი. ამავე დროს სამართალი ვიშინსკის განმარტებით ამოიწურებოდა მხოლოდ იძულების ღონისძიებით და სრულიად უაზდებული იყო მისი აღმზრდელობითი როლი, ხოლო ვიშინსკის მიერ შემუშავებული „თეორია“ ბრალდებულის აღიარების შესახებ, როგორც სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებზე მთავარი დამამტკიცებელი საბუთის შესახებ, არსებითად ამართლებდა მასობრივი თვითნებობის ფაქტებს, რომლებიც ოდესღაც იყო სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაში.

დელეგატი ლაპარაკობს იმ უდიდეს რეზერვებზე, რომლებიც ოლქს აქვს, იმაზე, რომ საჭიროა დაჩქარდეს მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ჩვენთან, განაგრძობს ორატორი, დაძაბული მდგომარეობა იქმნება ვოლგის ქიმიური კომბინატის ქარხნების მშენებლობაში. ჩვენი აზრით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დადებითად უნდა გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ „სტალინგრადჰიდრომშენმა“ მთელი ძალღონე მოახმაროს ამ კომბინატის მშენებლობას და უზრუნველყოს მისი ვადამდე გადაცემა საექსპლოატაციოდ.

ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც მიაღწიეს ზოგიერთ დადებით შედეგს. მარცვლეულის საერთო მოსავალი უკანასკნელ ოთხ წელიწადში ერთიორად გაიზარდა. ღირსეულ შეხვედრას უმზადებდნენ რა სკკპ XXII ყრილობას, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი და წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 125 მილიონი ფუთი პური, 22,7 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა — ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავების პროგრამა, ამბობს ამხ. შკოლნიკოვი. მთლიანად ვიწონებთ რა სკკპ ახალ პროგრამას, ყოველი ჩვენგანი განიცდის დიდი სიამაყის გრძნობას კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი ცენტრალური კომიტეტისათვის, რომლებსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავთ ლენინური გზით.

XXII ყრილობა ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებაში.

დელეგაციის მეთაურმა ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა მალაიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი.

ტრიბუნაზეა ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **რუის გონსალესი.** საბჭოთა კავშირში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა ხელს შეუწყობენ ბოლივიელ კომუნისტებს მათს მუშაობაში, ჩვენი ამოცანების განხორციელებაში.

სალამს სხდომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ა. კუნაევმა გამოაცხადა, რომ ყრილობის სახელზე მიღებულია ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის, ნიკარაგუას სოციალისტური პარტიის, ირლანდიის მუშათა ლიგის მისასალმებელი წერილები. ამ ცნობას დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

შემდეგ ყრილობამ განაგრძო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

პროგრამის პროექტში დასახული გეგმების სიღიადე და გრანდიოზულობა ყველაზე მდიდარ წარმოდგენასაც კი აღემატება, ამბობს სკკპ თთორეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ფ. ა. ტაბეევი.** პროგრამის პროექტის განხილვამ გამოიწვია მასების აქტივობის უმაგალითო ზრდა, ცხადყო, რომ ისინი მზად არიან მთელი ძალღონე, ცოდნა და ენერგია მოახმარონ ბრძოლას მშობლიურ პარტიის საქმისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ეს შთამბეჭდავი შედეგია სკკპ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი მუშაობისა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

ახალი პროგრამის პროექტსა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებებში, განაგრძობს ორატორი, ასახულია სავსებით რეალური პერსპექტივა, რომ სსრ კავშირის მრეწველობა გადაიქცეს მსოფლიოში ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილ და ძლავრ მრეწველობად. ამ გეგმების რეალობა ჩანს თითრეთის მაგალითითაც, სადაც შექმნილია მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ნავთობის, გაზისა და ქიმიური, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, შაქრის მრეწველობა. პარტიის ყრილობისათვის მენავთობეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, გეგმის გადამეტებით ამოიღეს ასეული ათასობით ტონა ნავთობი და გაიყვანეს თითქმის 75 ათასი მეტრი გვირაბი. ყრილობას კარგი საჩუქარი მოუმზადეს წიაღის მზვერავებმაც. მათ წელს აღმოაჩინეს ნავთობის ექვსი ახალი მძლავრი საბადო.

რესპუბლიკაში იყენებენ ნავთობის საბადოთა დაზვერვისა და დამუშავების პროგრესულ მეთოდებს. იზრდება ბურღვის სიჩქარე, ხორციელდება გადასვლა მცირე დიამეტრის ჭაბურღილების ბურღვაზე, რაც სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა. კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა, ნავთობის დანაღი თვითღირებულება საშუალებას გვაძლევს სწრაფად გავადიდოთ მისი მოპოვება. წინასწარი გამოანგარიშებით, აცხადებს ამხ. ტაბეევი, თათრეთს შეუძლია უახლოეს წლებში ერთიორად გაადიდოს ნავთობის მოპოვება.

ნავთობისა და გაზის მოპოვების სწრაფმა ზრდამ, ნახშირწყალბადის ნედლეულის უზარმაზარმა რესურსებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს იმისათვის, რომ რესპუბლიკაში განვითარდეს ორგანული სინთეზის ქიმიური საწარმოები და, უწინარეს ყოვლისა, სინთეზური კაუჩუკის, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოება.

ფ. ა. ტაბეევი ლაპარაკობს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში ჩაყარეს 53 მილიონზე მეტი ფუთი მარცვალი, ანუ 10 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა გადიდდა ერთიორად და მეტად, რძისა — თითქმის ერთნახევარჯერ.

პარტიის ახალი პროგრამა, თქვა ორატორმა, ჩვენგან მოითხოვს იმას, რომ გულდასმით მოვიფიქროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების პერსპექტივები. მარცვლის საერთო მოსავალი რესპუბლიკაში უნდა ავიყვანოთ 300 მილიონ ფუთამდე, ხორცის წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 144 ცენტნერამდე, რძისა — 632 ცენტნერამდე. თათრეთის კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ამოცანა რეალურია და უთქველად შესრულდება.

თათრეთის რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარების თანამედროვე დონე ბრწყინვალე მაგალითია, რომელიც აოცანტურებს ჩვენი პარტიის პოლიტიკის ნაყოფიერებას. საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მაჩვენებელი, თქვა ამხ. ტაბეევმა. შრომის ნაყოფიერების დონე თათრეთის ნავთობსარეწებში ერთნახევარჯერ და მეტად აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლებს. 10 ათას სულ მოსახლეზე სტუდენტთა რაოდენობის მხრივ რესპუბლიკამ დიდი ხანია გაუსწრო მსოფლიოს ყველაზე ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ყოველივე ეს მოწმობს სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობებს, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ეროვნს ყოველმხრივი და სწრაფი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის გზით.

სტუდეა წარმოთქვა ალტაის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **გ. ა. ნალიგაიკომ.** ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვა მან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ყოველდღიურ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მიწათმოქმედების სისტემის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია ერთ ჰექტარ ნახნავზე პროდუქციის წარმოების დონე. უკანასკნელ წლებში ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე, განაცხადა ამხ. ნალიგაიკომ. მან მოიყვანა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ თესლბრუნვები, რომლებშიც დიდი ადგილი უჭირავს სიმინდს, მეთესლეობისა და მეცხოველეობის ერთიორად მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ანეულბალთესვის სისტემა.

ამხ. ნალიგაიკომ ლაპარაკა სათოხნი კულტურების — სიმინდის, პარკოსნების, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნთესლების უპირატესობათა შესახებ. ინსტიტუტის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მიწათმოქმედების არც ანეულის, არც ბალახთესვის სისტემას არ შეუძლია მოგვცეს მეთესლეობისა და მეცხოველეობის იმდენი პროდუქტი, რამდენსაც იძლევა თესლბრუნვები, რომლებშიც ფართოდ წარმოდგენილია სათოხნი კულტურები. ამას დამაჯერებლად ცხადყოფს მრავალი მოწინავე ბრიგადის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გამოცდილება.

მხვნელ-მთესველებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საეჭვოა იყოს ისეთი კულტურა, რომელმაც მოგვცეს უფრო მეტი მასა, ვიდრე სიმინდმა. თუ 400 ცენტნერ სიმინდის მოსავალს გადავიანგარიშებთ მშრალ ნივთიერებად, შესაბამისად ფესვების წონა შეადგენს 160 ცენტნერს ჰექტარზე. სიმინდის შემდეგ ორგანული ნივთიერება უფრო მეტიც კი რჩება, ვიდრე მრავალწლიანი ბალახების შემდეგ. ჩვენ დავადგინეთ ეს და უარყოფითი მოოთესვაი ანეული, ან მიწებზე კი დათესეთ სიმინდი და საკვები პარკოსნები.

პარკოსნები დამკვიდრდნენ ალტაიში, აგვიგვანებენ მიწათმოქმედების სათოხნ სისტემას. ინსტიტუტის დირექტორი დაწერილებით შეეხო პარკოსნების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკას, სიმინდისა და პარკოსნების ერთად მოყვანის საკითხებს, ილაპარაკა იმაზე, რომ სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესებში სასუქის შეტანის ხარჯები კარგად ნაზღაურდება.

ალტაიში [illegible] ფესვეულ [illegible] მარგავი, [illegible] ყენება [illegible] ბის [illegible] დოთ მოსავალი და მნიშვნელოვნად გაზუმჯობესთ საკვებფფესულო ხორბლის მარცვლის ხარისხი. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია დაჩქარდეს ალტაის მდიდარ ფოსფორიტის საბადოთა დამუშავება.

ორატორმა თქვა, რომ მიმდინარე წელს ინსტიტუტის მუშაკებმა აწარმოეს ცდები სილოსით პირუტყვის სრულწლიური ბაგური შენახვის დარგში და დარწმუნდნენ ამ მეთოდის დიდ ეფექტიანობაში. სიმინდი, საკვები პარკოსნები და ბარდა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის პირუტყვის ძირითადი საკვები მთელი წლის განმავლობაში. ყუათიანობით ეს კულტურები ერთმანეთს ავსებენ. სიმინდი და პარკოსნები ან სიმინდი და ბარდა შეიცავენ პირუტყვისათვის საჭირო ყველა ამინომჟავას კომპლექსს.

ინსტიტუტის კოლექტივმა, თქვა დასასრულ ამხ. ნალიგაიკომ, მოსოდა გადაცემ ყრილობის პრეზიდიუმს, ნიკიტა სერგის-ძეს ანგარიში ალტაიში მიწათმოქმედების სისტემის დამუშავების შესახებ და მტკიცე სიტყვა მივცეს, რომ ინსტიტუტის მუშაკები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეტანენ კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

გამოდის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ა. ნ. პოსპელოვი.** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი მართო ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის კუთვნილება როდი გახდა. პროგრამის ყველა უმნიშვნელოვანესი დებულება უკვე ფართოდ მოეფინა მთელ მსოფლიოს, ამ დებულებებს მაღალი შეფასება მისცეს მომძე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, მთელმა პროგრესულმა ძალებმა. დიდ იმედს, ცხოვრების წიგნს, კაცობრიობისათვის სასიხარულო კარგ ამბავს უწოდებენ და მრავალი სხვა უაღრესად მაღალი და გულში ჩამწვდომი სიტყვით იხსენიებენ ჩვენს პროგრამას მომძე პარტიები და მთელი დედამიწის ხალხები, ამბობს ამხ. პოსპელოვი. ჩვენი პარტიის მოწონებისა და მისთვის მხარდაჭერის გამოხატველი რა სასიამოვნო, აღმაფრთოვანებელი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი სიტყვები მოვისმინეთ აქ XXII ყრილობაზე ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისა და რასის წარმომადგენლებისაგან! ჩვენი ყრილობა ჭეშმარიტად გადაიქცა იმ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უდიდეს მსოფლიო ფორუმად, რომელსაც ახალი პროგრამა კომენინზმის დროშით აკაცობრიობის ნამდვილი აღორძინების გარიჟრაჟად მიაჩნიათ.

და აი ისტორიის ასეთი უდიადესი შემობრუნების მომენტში აღმოჩნდნენ უბადრუკი გარეწრები, რომლებიც ყალბად უწოდებენ თავს მარქსისტებს და რომლებიც ცდილობენ გამოვიდნენ და მოაწყონ ჩვენი პროგრამის წინააღმდეგ ანტილენინური, ღირსსა და ცილისმწამებლური გამოხდომები. ესენი არიან ალბანელი ხელმძღვანელები, ეს არის ანტიპარტიული ჯგუფის მთავარი იდეოლოგი მოლოტოვი. ცნობილია, რომ მოლოტოვმა პარტიის XX ყრილობაზე ხმა მისცა ყრილობის ყველა გადაწყვეტილებას. მაგრამ უფრო გვიან იგი დაადგა ამ გადაწყვეტილებათა რევიზიისა და უარყოფის გზას.

მოლოტოვი, რომელიც გამოდიოდა როგორც უპრინციპო ორპირი ადამიანი, წავიდა არა მარტო სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის წინააღმდეგ, არა მარტო პარტიის იმ კურსის წინააღმდეგ, რომ აღმოიფხვრას პიროვნების კულტის შედეგები, განვითარდეს სოციალისტური დემოკრატია. მოლოტოვი წავიდა პარტიის XX ყრილობის იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპიული დებულების წინააღმდეგ, რომ შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი თანამედროვე ეპოქაში.

ახლა კი მოლოტოვი აკეთებს განცხადებას, რომელიც შემზარავია თავისი უაზრობითა და პარტიის მთელი კურსისადმი მტრობით. იგი თავს ესხმის პროგრამის დასკვნითი ნაწილის შემდეგ უმნიშვნელოვანეს თეზისს: „როცა საბჭოთა ხალხი ისარგებლებს კომუნიზმის სიკეთით, დედამიწის ახალი ასეული მილიონობით ადამიანი იტყვის: „ჩვენ კომუნიზმის მომხრენი ვართ!“. არა სხვა ქვეყნებთან ომის გზით, არამედ საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის მაგალითით“. მოლოტოვის მიხედვით გამოდის, რომ სწორედ ომის გზით უნდა გადმოვიყვანოთ კომუნიზმის მხარეზე ასეული მილიონობით ადამიანი! მაგრამ ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენს მოწინააღმდეგეებს სურთ შემოგვაპარონ, ეს სწორედ ის „დიდი სიცრუეა“, რომელსაც იმპერიალისტური პროპაგანდა ავრცელებს.

ამხ. პოსპელოვი მოაგონებს ყრილობას ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმულ აზრებს მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, იმის შესახებ, რომ სოციალიზმს მაგალითის ძალა აქვს, რომ საერთაშორისო რევოლუციის განვითარებაზე, ხალხთა კონებასა და გრძნობებზე მთავარ ზემოქმედებას სოციალიზმის ქვეყნები თავიანთი სამეურნეო მშენებლობის წარმატებებით მოახდენენ, უკვე პირველ საბჭოთა დეკრეტში ზავის შესახებ გაისმის მძლავრი მოწოდება ხალხებისადმი — ბოლო მოუღონ იმპერიალისტურ ომს და ჩაყრილია სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის საფუძვლები.

1920 წელს და უფრო გვიან ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ წინააღმდეგობა ორ სისტემას—სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის შეიძლება გადაიკრას და კიდევაც უნდა გადაიკრას არა

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

სკკპ XXII ყრილობა. სურათზე: რუსთაველი მეტალურგები ს. შარაძენიძე (მარცხნივ) და ა. ფანცულაია სუმგაითელ მეფოლადე ვ. ბოლდარევთან (შუაში) ერთად.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

26 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ყრილობის 26 ოქტომბრის საღამოს სხდომა გაიხსნა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **დ. ა. კუნაევის** თავმჯდომარეობით. ყრილობას მიესალმნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

სიტყვა ეძლევა ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **მოჰამედ ჰარმელს.**

ვსარგებლობთ შ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

სკკპ XXII ყრილობა. სურათზე: ყრილობის დელეგატები ესაუბრებიან უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს საბჭოთა კავშირის ორგზის გმირს ს. ა. კოვპაკს.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

იარაღით, არა ომით, არამედ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით, რომლის მსვლელობაშიც სოციალიზმი აუცილებლად ცხადყოფს თავის სრულ უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით.

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს, რომ ძალმომრეობა, შეიარაღებული ბრძოლა საჭიროა რევოლუციების მიერ დამხობილი ექსპლოატატორული კლასების დასთრგუნავად, თუ ისინი შეეცდებიან აღადგინონ თავიანთი ძალაუფლება, საჭიროა ინტერვენტების, რევოლუციის მტრების განსანადგურებლად. ამით ამოიწურება ძალმომრეობის მნიშვნელობა, ხოლო შემდგომ უკვე ძალა აქვს გავლენასა და მაგალითს.

უფრო გვიან, 1921 წელს, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა სოციალიზმის სამეურნეო წარმატებათა მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. „ამჟამად ჩვენ მთავარ ზემოქმედებას საერთაშორისო რევოლუციაზე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ... ამ ასპარეზზე ბრძოლა გადატანილია მსოფლიო მასშტაბით. თუ ეს ამოცანა გადავწყვიტეთ, საერთაშორისო მასშტაბითაც უეჭველად და საბოლოოდ მოვიგებთ!“— წინასწარმეტყველურად ამბობდა ჩვენი დიდი მასწავლებელი.

რამდენჯერ გადიდდა, განაგრძობს ორატორი, ჩვენი სამეურნეო წარმატებების ზემოქმედება კაპიტალიზმის ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე ახლა, როცა მსოფლიოში პირველი ქვეყანა სოციალიზმისა რამდენიმე ასეულჯერ, ათასჯერ ძლიერი გახდა, ვიდრე 1921 წელს იყო. 1920 წელს ჩვენ მთელი წლის მანძილზე გამოვადნეთ 194 ათასი ტონა ფოლადი, ახლა ფოლადის ამ რაოდენობას ერთ დღე-ღამეში ვადნობთ, სულ კი 1961 წელს ჩვენი მეტალურგია გამოუშვებს 71 მილიონ ტონა ფოლადს, რაც დაახლოებით უდრის ამერიკის შეერთებულ შტატებში ფოლადის ფაქტიური წარმოების 80 პროცენტს. 1921 წელს ჩვენში მთავარი მშენებლობა იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო — ვოლხოვმშენი. ახლა მარტო შვიდწლედის მანძილზე ჩვენში შეიქმნება ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომლებიც დაახლოებით ათას ვოლხოვმშენს უდრის.

ასე განუზომლად გაიზარდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალა და ეკონომიური ძლიერება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში,ხოლო, მაშასადამე, განუზომლად გადიდდა კომუნიზმის მაგალითის ძალაც!

ამის გაგება არა სურს მოლოტოვს. ეს უკვე მარტო დოგმატიზმი ან უმეცრება როდია. ეს პირდაპირი გამოხდომაა ლენინიზმის ძირეულ დებულებათა წინააღმდეგ, ეს გონებაჩლუნგი, ფრაქციული ჯიუტობაა, იმისადმი მისწრაფებაა, რომ რადაც უნდა დაუჯდეს დაუპირისპიროს პარტიის ლენინურ კურსს თავისი დამპალი, ანტილენინური, ფრაქციული ხაზი, ხაზგასმით აღნიშნავს პ. ნ. პოსპელოვი.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ აქვს საზღვარი ჩვენი პარტიის ყოველ მოთმენებასა და სულგრძელობას, განაგრძობს იგი. განა ჩვენს დიად პარტიას შეუძლია თავის რიგებში მოითმინოს გარეწრები და გამთიმველები, რომლებიც თავხედურად გამოდიან ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებათა წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის ლენინური კურსის წინააღმდეგ, ახალი პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც ახლა კომუნისტური პარტიის ჩვენი ეპოქის საყოველთაოდ აღიარებული მანიფესტია. სწორად თქვა ყრილობის ბეჭრმა დელეგატმა, რომ მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი არ შეიძლება იყონ ჩვენი დიადი ლენინური პარტიის წევრნი.

ორატორი შემდეგ ამბობს, რომ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ეგი ამხ. ი. ვ. ანდროპოვთან ერთად დაესწრო ალბანეთის შრომის პარტიის IV ყრილობას. ეს ყრილობა გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცნო პიროვნების კულტის აღვირახსნილ, მყვირალა, მომაბეზრებელ დემონსტრაციად, ალბანეთის შრომის პარტიის უზომო თავისქების დემონსტრაციად.

ალბანელი ხელმძღვანელები სულ უფრო ეშვებიან ყოვლად თავაშვებული ნაციონალიზმისაკენ, უხეშად არღვევენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ხალხთა მეგობრობის პრინციპებს, სულ უფრო შორდებიან ლენინიზმს.

ალბანეთის შრომის პარტიის უკანასკნელი ყრილობის დროს ჩვენ წავაწყდით მთელ რიგ იმ ალმაშფოთებელ ფაქტებს, რომ ალბანეთის თვალსაჩინო მუშაკები პირდაპირ ანტისაბჭოთა გამოხდომებს აწყობდნენ, წავაწყდით ჩვენი სპეციალისტების, გეოლოგების, საბჭოთა მეზღვაურების აბუჩად აგდების, მათდამი მტრული მოპყრობის ფაქტებს. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით პროტესტი განვუცხადეთ და გაფრთხილება მივეცით ალბანელ ხელმძღვანელებს. მაგრამ ამან გონს ვერ მოიყვანა ისინი. ამის შემდეგ მათ კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი ფარული ანტილენინური, საბჭოთა კავშირისადმი მტრული საქმიანობა, ამავე დროს თვალთმაქცურად აცხადებენ, თითქოს საბჭოთა ხალხისა და სკკპ მეგობრები არიან.

XXII ყრილობაზე ალბანელ ხელმძღვანელთა ეს თვალთმაქცური, ორპირული პოზიცია სამართლიანად დაგმეს ჩვენმა პარტიამ და მომძე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ტრიბუნაზე გამოდიოდნენ.

ჩვენ, ამბობს ორატორი, იმედი გვაქვს, რომ ამ ფაქტიდან ალბანელი კომუნისტები და ალბანელი ხალხი სათანადო დასკვნებს გამოიტანენ, ბოლოს და ბოლოს შეიგნებენ, თუ რა საშიშ ანტირევოლუციურ ჭაობში ითრევენ მათ ცუდ გზაზე დამდგარი ალბანელი ხელმძღვანელები.

შემდეგ პ. ნ. პოსპელოვი ლაპარაკობს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მუშაობაზე მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებთა და პარტიის დოკუმენტების მოსამზადებლად და გამოსაცემად. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში თავმოყრილია და ინახება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დაახლოებით 6 ათასი დოკუმენტისა და ვ. ი. ლენინის 30 ათასზე მეტი დოკუმენტის დედნები და ფოტოპირები. ეს კოლოსალური და ფასდაუდებელი იდეური სიმდიდრე სულ უფრო და უფრო ხდება ხალხთა კუთვნილება.

შარშან დამთავრდა სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის გამოცემა ხუთ ტომად. ამჟამად გამოშვებულია „დიდი სამამული ომის ისტორიის“ სამი ტომი. 1962 წელს გამოიცემა მეოთხე და მეხუთე ტომები, ხოლო 1963 წელს გამოვა მეექვსე, დასკვნითი ტომი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში იქმნება სკკპ ისტორიის მრავალტომიანი შრომა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა სკკპ მრავალტომიანი ისტორიის მთავარი რედაქცია, ექვსივე ტომის რედაქციები, შეიმუშავა ამ ესტორიული ტომის ძირითადი მიმართულებანი. პირველი ტომი განზრახულია გამოვუშვათ 1963 წელს, პარტიის მეორე ყრილობის 60 წლისთავისათვის.

ჩვენი ახალი პროგრამა, თქვა დასასრულ პ. ნ. პოსპელოვმა, გიგანტურ შუქურასავით უნათებს გზას კაცობრიობას, ასხივებს კომუნიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სპეტაკ, ხათელ შუქს, ადამიანისადმი ჩაუქრობელი სიყვარულის, ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისა და სიყვარულისათვის ზრუნვის შუქს, მოგვიწოდებს — ვიბრძოლოთ დედამიწაზე სიცოცხლის დამკვიდრებისათვის, მძლავრი საწარმოო ძალების უსაზღვრო განვითარებისათვის, თავისუფალი ადამიანის პიროვნების გაფურჩქვნისათვის.

ასეთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტის შექმნა, რომელიც უეჭველად მოახდენს დიდ იდეურ ზემოქმედებას კაცობრიობის მომავალ ბედზე, ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ერთგული ლენინელისა და ლენინის საქმის სახელოვანი განმგრძობის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დიადი ისტორიული დამსახურებაა!

გამოდის გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი. როცა ჩვენ, ამბობს იგი, მოვისმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შესანიშნავი ღრმა მოხსენებანი, დელეგატების გამოსვლები, ჩვენს წინაშე თითქოს გადაიშალა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მთელი ისტორია, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ისტორია.

ამას წინათ საბჭოთა ჟურნალისტები, მათ შორის მეც, განაგრძობს ამხ. აჯუბეი, ვესაუბრეთ პრეზიდენტ კენედის. ალბ, იფიქრეთ, ამხანაგებო, ისეთი მდიდარი და, მე ვიტყოდი, ჯერჯერობით კიდევ მეიდიდური სახელმწიფოს — შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხელში ფანქარი ეჭირა და ანგარიშობდა, თუ როდის გავუსწრებთ მათ. ოციანი წლების ამერიკელი პრეზიდენტებისათვის რომ ეთქვათ, თქვენს მემკვიდრეებს უკვე სამოციან წლებში საბჭოთა კავშირთან ეკონომიური შეჯიბრების ბალანსის გამოანგარიშება დასჭირდებათ და საფიქრებლად გაუხდებათ, რომ სწორედ ის რუსეთი, რომელსაც ისინი ოდესღაც მსოფლიო სათვალავშიც არ იღებდნენ, შეერთებულ შტატებს დაეწევა და გაუსწრებსო, ისინი ასეთ ადამიანს აიგდებდნენ, მეტი რომ არა ვთქვათ, ფანტაზიორს უწოდებდნენ. კენედისათვის კი ეს ფანტაზია კი არ არის, ეს უკვე საზრუნავია, მერე როგორი საზრუნავი!

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ამბობს შემდეგ ამხ. აჯუბეი, ამ ყრილობის დღეები მარტო დიდი, სერიოზული შრომა როდია. ეს სასიხარულო დღესასწაულიც არის, რომელიც არცერთ ჩვენგანს არასოდეს არ დაავიწყდება.

მაგრამ არიან ჩვენს პარტიაში ადამიანები, რომლებსაც არ ახარებთ არც ეს ყრილობა, არც ჩვენი წარმატებანი. მე მხედველობაში მყავს საზიზღარი გარეწრები, ფრაქციონერები. მათ ჯიბეში პარტიული ბილეთები უდევთ, მაგრამ პარტიულობის ნასახიც კი არ გაჩნიათ. მათ არ მიიღეს XX ყრილობა. ახლა ჩვენ ვიცით მოლოტოვის წერილიდან — ისინი XXII ყრილობასაც არ იღებენ. ფრაქციონერები მარტოოდენ უპრინციპო ობივატელები როდი არიან, ისინი ანტილენინურ პოზიციებს ადგანან.

მათ შორის ყველაზე ღვარძლიანია მოლოტოვი. იგი თავს ესხმის პარტიის საქმიანობის ყველა ხაზს, მათ შორის საგარეოპოლიტიკურ ხაზსაც. მოლოტოვი, კერძოდ, გამდის ჩვენი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეებისა და უცხოელი პოლიტიკოსების კონტაქტების წინააღმდეგ, საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის წინააღმდეგ. იგი გვაფრთხილებს: მოერიდეთ კონტაქტებს, ისინი საშიშია.

რა შეიძლება ითქვას ამის გამო? კონტაქტები კაპიტალისტური სამყაროს მოღვაწეებთან საკმაოდ რთული, ხშირად არასასიამოვნო მუშაობაა. ცნობილია, განაგრძობს ორატორი, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა, დაუმთავრებელი დავა. ლენინელი თუ გინდა იყო, უნდა დაიკაპიწო ხელები და იშრომო, დაიცვა საკუთარი თვალსაზრისის სიმართლე.

ა. ი. აჯუბეი შეეხო ზოგიერთ შეხვედრებს საზღვარგარეთ. მაგონდება, ამბობს იგი, ერთ-ერთი დღე, სანამ მუშაობას დაიწყებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია. ამ დღეს წითელ საბჭოთა ალმიანი მანქანები დაიძრნენ ზანგთა უბნისაკენ, ჰარლემისაკენ, სადაც, ამერიკის „წესიერი“ საზოგადოების თვალსაზრისით, ცხოვრობენ ცხოვრებისაგან განდევნილნი, სადაც „თეთრკანიანებისათვის“ სათაკილოა გამოჩენა. როგორ ცნობილია, რევოლუციური კუბის წინააღმდეგ გაბორტებულმა ამერიკის ხელისუფლებმა უარი უთხრეს ფიდელ კასტროსა და მის დელეგაციას სტუმართმოყვარეობაზე. კუბის რევოლუციის ბელადი ჰარლემის სასტუმროში დაბინავდა. სწორედ იქ გაემგზავრა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. და როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური მოეხვია ფიდელ კასტროს, ჩვენ, ჟურნალისტებმა, ცრემლი დავინახეთ რკინის ნებისყოფის გრძელწვერა კაცის თვალზე, კაცისა, რომელსაც არ აშინებს არც ტყვია, არც ბომბი, კაცისა, რომელიც იბრძოდა მთებსა და ჭაობებში. მან მაშინ თქვა: ეს მეტად დიდმნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირი ეხვევა კუბას აქ, შეერთებულ შტატებში. რა მნიშვნელოვანია ეს, რომ იცოდეთ, ეს მეტია, ვიდრე დიპლომატიური ცნობა. მადლობას ვუძღვნით ამისათვის საბჭოთა კავშირს!

აძისათვის, ამხანაგებო, უნდა გადაეკვეთოთ ოკეანეები!

რომ შეეაერთოთ კილომეტრები, რომლებიც გაიარეს თავიანთი მოგზაურობის დროს ნიკიტა სერგის-ძემ, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, განაგრძობს ა. ი. აჯუბეი, აღბათ, შესაძლებელი იქნებოდა დედამიწისათვის ბევრჯერ შემოვლება. მაგრამ საქმე კილომეტრები როდია. ჩვენ, ჟურნალისტებმა, ვნახეთ, როგორ ჩამოდიოდნენ მილიონობით, სწორედ მილიონობით ადამიანები პატარა სოფლებიდან, ჩამოდიოდნენ მთებიდან, მოდიოდნენ ქვეყანად, ზოგჯერ მშიერნი და ფეხშიშველნი, რომ შეხვედროდნენ საბჭოთა დელეგაციებს, გაეგოთ სიმართლე ბედნიერ საბჭოთა ქვეყანაზე.

და თუ ვინმე ქმაყოფილი არ არის, უფრო მეტიც, გააფთრებულია საზღვარგარეთ საბჭოთა ადამიანების მოგზაურობის ტრიუმფით, ესენი ჩვენი მტრები არიან. ჩვენდამი ყველაზე მტრული დასაყლეთელი მოღვაწეები ძოხარული იქნებოდნენ, ერთმანეთს მიულოცავდნენ, ჩვენში რომ გაემარჯვებინა თვითხოლაციის ხაზს. ამაევე დროს ხომ დიდი ხანია ცნობილია: თუ ძტერი ცოფსა ჰყრის, მაასადამე, შენ მართალი ხარ.

მოკლე ფრაზა „პირადი კონტაქტები და მოგზაურობა“ ნიშნავს ძმიმე მუშაობას, რომელიც ხშირად არ ტოვებს დროს არც ძილისათვის, არც დასვენებისათვის, მუშაობას, რომელიც მოითხოვს უურადღების მუდმივ დაძაბვას, მოსაზრებულობას, უნარს გამოვიყენოთ არგუმენტაციის მთელი ძალა. იგი მოითხოვს, თუ გნებავთ, პირად შამაცობას.

როცა „ბალტიკა“ ამერიკაში შიდიოდა, სადაც ატლანტის ოკეანეში გემის მახლობლად დაცურავდნენ „უცნობი“ წყალქვეშა ნავები, როცა ამხანაგი ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბრუნდებოდა, „გაურკვეველი მიზეზების“ გამო მის თვითმფრინავს დაეწვა ორი მოტორი. როცა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აფრიკაში მიფრინავდა, საფრანგეთის „უცხობმა“ სამხედრო თვითმფრინავმა „მეცდომით“ ცეცხლი დაუშინა თვითმფრინავს. არა, ეს ტურისტული გასეირნება როდია! ასეთი მოგზაურობა ხორციელდება ხალხის სახელით და ხალხის ინტერესებისათვის.

თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი ა. ი. აჯუბეიმ მიუძღვნა საბჭოთა საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის, ადამიანისადმი უურადღების პრობლემებს. ორატორი ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების სულიერ სიმშვენიერეზე, იმ ადამიანებზე, ვისთვისაც საკუთარი სამყაროო ნათელი, სუფთა, მკაფიო და სასიხარულოა, როცა საამურად და კარგად ცხოვრობენ ადამიანები. ჩვენ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ: დიახ, ჩვენში დაიბადა, ცხოვრობს და მოქმედებს ახალი, შესანიშნავი ადამიანი, ადამიანი, რომელიც აშენებს კომუნიზმს! — ამბობს ორატორი.

გულისტკივილით ლაპარაკობს ა. ი. აჯუბეი იმაზე, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის ადამიანისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების შემთხვევები. გულგრილობა, ადამიანებისადმი უურადღებობა, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, სასამართლოს გასჯადობას რიგი ექვემდებარება. მაგრამ ექვემდებარება საბჭოთა სინდისის, კომუნისტური სინდისის განსჯადობას. ყველა ჩვენგანმა რაც შეიძლება მეტი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ჩვენს ცხოვრებაში არ იყოს ძველი სამყოფს ეს ნაშთები.

საბჭოთა ჟურნალისტები, ამბობს დასასრულ ამხ. აჯუბეი, პირობას დებენ იყვნენ ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის თანაშემწეთა წოდების ღირსნი, პარტიისა, რომელიც საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ მიუძღვის.

ძვირფასო ამხანაგებო! კოსმონავტმა მფრინავებმა დამავალეს გადაგცეს XXII ყრილობის დელეგატებს ჩვენი მებრძოლური გულითადი სალამი! ამ სიტყვებს მეუხარი ტაშით შეხვდნენ — იგი ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქვა **კოსმონავტმა მფრინავმა გ. ს. ტიტოვმა.**

არ შეეცდები, მღელვარედ თქვა მან, თუ აქ დამსწრე დელეგატთა შორის ყველაზე ახალგაზრდა კოშუნისტად მივიჩნევ თავს. ჩემს პარტიულ ბილეთში დასმულია თარიღი, ორმხრივ დასამახსოვრებელი და ძვირფასი ჩემთვის — 1961 წლის 7 აგვისტო. ამ დღეს, როგორც ცნობილია, კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-2“ დაამთავრა მეჩვიდმეტე შემოვლა ჩვენი პლანეტის გარშემო, მორჩილად შეასრულა საბჭოთა ადამიანების ნება და დაეშვა ნავარაუდევ რაიონში. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ამაღელვებელი წუთები. მართალი გითხრათ, მე, სახალხო მასწავლებლის შვილს, რომლის პაპა და პაპის პაპა მოჯამაგირენი იყვნენ, ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ, პარტიამ ცხოვრების ფრთები შემასხა.

ახლა დიდი პატივი დამდეს — ვარ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

ისიც, რომ ვადამდე მიმიღეს პარტიის წევრად და ამირჩიეს ყრილობის დელეგატად, — ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვის!

დარბაზში კვლავ გაისმა ტაში, როცა საბჭოთა კავშირის გმირმა, კოსმონავტმა ტიტოვმა თქვა: „...ჩვენ კოსმონავტებმა, განვახორციელეთ ფრენა კოსმოსური ხომალდებით „აღმოსავლეთი-1“ და „აღმოსავლეთი-2“ და გავიყვანეთ მსოფლიოში კოსმოსური ფრენის პირველი ტრასები. ეს გიფრენები გეძღვნება შენ, — XXII ყრილობავ!“

ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, განაგრძო გერმანე ტიტოვმა, რომ სასტარტო ბოძადანი, საიდანაც საბჭოთა კოსმოსური ხომალდები აფრინდნენ, სოციალიზმია, რომელმაც ყველა პირობა შექმნა კოსმოსში გაფრენისათვის. სხვათა შორის, დასძინა ორატორმა, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ასეთი შეკითხვა მომეცეს: რას ურჩევდით ამერიკელ კოსმონავტებს? მაშინ მე ვუპასუხე, რომ სარჩევი თითქოს არაფერია, რადგანაც ჩვენ სულ სხვადასხვა გაფრენები გვაქვს — ჩვენ ვფრინავთ დედამიწის გარშემო ორბიტაზე, ისინი კი ხტუნავენ ბალისტიკურ მრუდეებზე. ჩვენ გვინდა ვუსურვოთ მათ დაიწყონ ორბიტალური ფრენა. თუ კი მათ სურთ დაიწყონ ასეთი ფრენა, დაე ააშენონ საიმედო სასტარტო მოედანი — დაე ააშენონ სოციალიზმი.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ კოსმოსური ხომალდები სტარტს იღებენ საბჭოთა კოსმოდროომებიდან. ორას ოცი მილიონი საბჭოთა ადამიანი — აი ძალა, რომელიც ვარსკვლავებისაკენ აფრენს მათ!

გერმანე ტიტოვი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების დივერსიას კოსმოსში, რაც იმით გამოიხატა, რომ გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც 350 მილიონი წვრილი სპილენძის ნემსია, და განაცხადა, რომ საბჭოთა კოსმონავტები პროტესტს აცხადებენ ამერიკელ იმპერიალისტთა ასეთი ავანტიურისტული მოქმედების წინააღმდეგ, რაც მიმართულია კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების წინააღმდეგ. იმპერიალისტები, ხაზგასმით აღნიშნა მან, ასეთ სამარცხვინო გზას კარგი ცხოვრების შედეგად როდი დაადგნენ. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა დივერსიისა, ჩვენ, საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები, კვლავ განაგრძობთ ფრენას კოსმოსში.

ამბ. ტიტოვმა სიამაყით ილაპარაკა თავის ამხანაგებზე, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს კოსმოსში ფრენის უზრუნველყოფის მომზადებაში, მრავალსაფეხურიანი რაკეტისა და ხომალდის შექმნელებზე, რომელთაგან ბევრი ყრილობის დელეგატთა შორის არის.

გ. ს. ტიტოვმა აღნიშნა საბჭოთა ავიაციის წარმატებები და განაცხადა: „ჩვენთვის, კოსმონავტებისათვის, განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიერ გამოთქმული აზრი, რომ პარტია კვლავაც განავითარებს და სრულყოფს საბჭოთა ავიაციას. ავიაცია ხომ ახალი პროფესიის ადამიანებს — კოსმონავტებს წარმოშობს!

წინ გვიდევს ახალი, უფრო რთული კოსმოსური მარშრუტები. სულ ახალი და ახალი საბჭოთა ადამიანები, თქვა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, გაუკვალავი მარშრუტებით გაფრინდებიან კოსმოსში, შეისწავლიან მას, შემდგომ გამოიცნობენ ბუნების საიდუმლოებას და ჩაყენებენ ადამიანის სამსახურში, მისი კეთილდღეობის, მშვიდობის სამსახურში.

მე და იური ალექსის-ძე გაგარინი ძლიერ ვამაყობთ იმით, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა „ციური ძმები“ გვიწოდა. საიდუმლოდ უნდა გითხრათ, დასძინა გმირმა, რომ კოსმონავტთა წრეში ნიკიტა სერგის-ძეს ჩვენს „კოსმოსურ მამას“ ვუწოდებთ. ჩვენ მუდამ ვგრძნობთ პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ზრუნვას ჩვენთვის, კოსმონავტებისათვის, კოსმოსის დამორჩილების დიად საქმეში.

მე სათუთად ვინახავ ჩემთვის ყველაზე ძვირფას დოკუმენტს — პარტიულ ბილეთს, რომლის ნომერია — 09753678. ეს ნიშნავს, რომ ახლა პარტიაში დაახლოებით ათი მილიონი კაცია — კომუნიზმის აქტიური მშენებლთა, კაცობრობის ისტორიის უკვდავი შორეთის მზვერავთა მთელი არმია, ისტორიისა, რომელსაც კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი ქმნიან. ამ 10-მილიონიან არმიას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ყოველივე იმას, რასაც მივაღწიეთ — მთელ ჩვენს შემოქმედებითი შრომის დიდ ბედნიერებას. არ არის უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ იყო კომუნიზმის აქტიური შემოქმედთა ერთიან მწყობრში, ასრულებდე პარტიის დავალებებს არა მარტო დედამიწაზე, არამედ შორეულ კოსმოსურ რეისებზე!“ — ამ სიტყვებით დაამთავრა გამოსვლა სახელმოხვეჭილმა კოსმონავტმა.

27 ოქტომბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

საღაც დაირნა ჩვენი სერგოს აკვანი

გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 75 წლისთავის გამო

მდინარე ძირულის ხეობაში მდებარეობს ლამაზი სოფელი ღორეშა. სოფლის შუაგულში, პიტალო კლდის ძირში, ბოლს პატარა მდინარის კვადოურას ნაპირას უურადღებას იპყრობს მწვანეში ჩაფლული ძველი ქართული ოსსართულიანი ოდა-სახლი. იქ 75 წლის წინათ დაბადა გამოჩენილი რევოლუციონერი, ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი სერგო ორჯონიკიძე. აქ, ამ სახლში დაირწა მისი აკვანი, აქ გაატარა მან თავისი მღელვარე ახალგაზრდობისა და ჭაბუკობის წლები.

ვინ იცის, რამდენჯერ დასწაფებია პატარა სერგო ანკარა წყაროს, ამ კოპწია კარამდამოში რომ გადმოჩუხჩუხებს, ან რამდენჯერ უთამაშნია რიკ-ტაფელა და უსროლია ისარი, რამდენჯერ უოცნებია ამ მაღალი ხეების ჩრდილში და დამტკბარა ბუნების სილამაზით...

ახლა აქ, ამ ლამაზ ოდა-სახლში სერგო ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმია, რომლის ყველა კუნჭული, ყველა ექსპონატი ძვირფას სერგოს მოგვაგონებს.

შედიხართ შენობის პირველ სართულში, სადაც სერგო დაიბადა. აქ არის მისი ბავშვობისდროინდელი და მის მიერ ხელშეწერახები ნივთები.

აი დიდი ქართული ბუხრის წინ დგას სერგოს აკვანი. თითქოს თბილია კიდევ, თითქოს ამ წუთს ამოუყვანიათო ჩვილი ყრმა იქიდან. ოთახის კუთხეში ფარდაგგადაფარებული ტახტი დგას, შუაში — მაგიდა ლამპით. როგორც მოხუცები იგონებენ, ამ მაგიდასთან, ამ ლამპის სინათლეზე პატარა სერგო თავდავიწყებით კითხულობდა, ეწაფებოდა ცოდნას.

აგერ საწერი მაგიდა, სავარძელი. ისინი სერგოს ბინას ამშვენებდნენ თბილისში. უყურებ, და თვალწინ ცოცხლად წარმოგიდგება მგზნებარე სულის, რკინისებური ნებისყოფის ადამიანი, თავისი ქვეყნის ბედზე ფიქრებში გართული. ამ სავარძელში ხშირად მჯდარა სერგო ს. მ. კიროვთან და ფ. ე. ძერჟინსკისთან ერთად, უთათბირიათ ხალხის ბედზე, ნათელ მომავალზე.

ოთახში რკინის უბრალო საწოლიც დგას. იმაზე იძინებდა სერგო, თავის მშობლიურ სოფელში რომ ჩამოდიოდა. კარადაში სერგოს საზაფხულო ხალათია, რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ატარებდა.

მეორე სართულზე გამოფენილია სერგოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი რევოლუციური მუშაობის ამსახველი მასალები, დოკუმენტები, ფოტოსურათები. მნახველი დიდი ინტერესით ეცნობა სერგოს წერილებს დიდი ლენინისადმი. ექსპოზიციაში წარმოდგენილია რეპროდუქცია მხატვრული სურათისა „ვ. ი. ლენინისა და ს. ორჯონიკიძის შეხვედრა რაზლივში“.

სხვა დოკუმენტებს შორის ვნახულობთ ლენინის ნაწერს: „... სერგო უაღრესად ხაიმედო სამხედრო მუშაკია. იგი ხომ უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერია. მე მას 10 წლზე მეტია ვიცნობ“.

იქვეა პირი სერგოს მიერ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილი დეპეშისა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ამ დღეებში მუზეუმმა სსრ კავშირის რევოლუციური მუზეუმისაგან მიიღო სერგოს პირადი ნივთები — საზაფხულო კოსტიუმი, ქუდი, ხალათი, ჩექმები, აგრეთვე მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები.

სამი წლის წინათ მუზეუმს ეწვია სერგოს მეუღლე ზინაიდა გაბრიელის ასული. მან გულდასმით დაათვალიერა მუზეუმის ყველა კუნჭული, ყველა ექსპონატი. სიყვარულით დასცქეროდა თვითეულ მათგანს, თითქოს გრძნობდა, რომ უკანასკნელად იყო საყვარელი სერგოს სახლსა და კარმიდამოში.

ყოველწლიურად იზრდება მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი. აქ მოდიან არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დიადი ქვეყნის მცხოვრებნი, არამედ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებიც. მოდიან, რათა გაეცნონ იმ ადამიანის ცხოვრებას, რომელიც სამშობლოსა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლასა და ზრუნვაში ჩაიფერფლა.



არნახული, უდიდესი სიხარულის დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. პარტიის XXII ყრილობის მუშაობით, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მედგრად მიდის წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

და ახლა, ამ სიხარულისა და ბედნიერების დღეებში, ჯრ შეიძლება სიყვარულითა და მოწიწებით არ მოვიგონოთ სერგო ორჯონიკიძე. მან ხომ მთელი თავისი ლამაზი, სპეტაკი სიცოცხლე რევოლუციის სამსხვერპლოზე მიიტანა, კომუნიზმის უკვდავ საქმეს შესწირა!

ქ. სახვაძე.

სოფელ ღორეშა.
1961 წ. 27 ოქტომბერი.

* * *

სურათზე: გ. ორჯონიკიძის ძეგლი სახლ-მუზეუმის ეზოში.

ფოტო ა. გოგოლაძისა.

„კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა“

ასე უწოდა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ კინოქრონიკის მორიგ, მესამე სპეციალურ გამოშვებას, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობას. ამ დღეებში დაიწყო ამ ფილმის დემონსტრაცია დედაქალაქის კინოთეატრებში.

ამ გამოშვების კინოკადრებში აღბეჭდილია, თუ როგორ განიხილავენ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტსა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას. (საკდესი).

კომუნიზმის ნათ